საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)

და

საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი
სააგენტო (MIGA)

მენეჯმენტის ანგარიში და სამოქმედო გეგმა CAO-ს მიერ მომზადებულ შესაბამისობის მოკვლევის ანგარიშთან დაკავშირებით

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შესახებ

საქართველო - ევროპა
(IFC-ს პროექტი NO. #33435 & #37781 და
MIGA -ს პროექტი NO. #12315)

10 ივნისი, 2025

შინაარსი

შემოკლებები და აკრონიმები 2

რეზიუმე 3

I. შესავალი 8

II. პროექტი 8

III. CAO -ს მიერ მიღებული საჩივარი 12

IV. მენეჯმენტის პასუხი 14

V. კონსულტაციები მომჩივანებთან და კომპანიასთან 36

VI. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) 37

VII. დასკვნა 37

დანართი A. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა 40

შემოკლებები და აკრონიმები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
BAP	ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
CAO	შესაბამისობის მრჩევლის /ომბუდსმენის ოფისი
CEI	„ქლინ ენერჯი ინვესტ AS“
CEMP	მშენებლობის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
CSR	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
DR	დავების გადაწყვეტა
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
ESAP	გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESDD	გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური შემოწმება
ESIA	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESMP	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
ESRS	გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების რეზიუმე
GEL	ქართული ლარი
GWh	გიგავატ საათი
HPPs	ჰიდროელექტროსადგური
IESC	გარემოსდაცვითი და სოციალური დამოუკიდებელი კონსულტანტი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
INR	ინდური რუპია
km	კილომეტრი
LFMS	დაბალი ნაკადის შერბილების სტრატეგია
LTA	კრედიტორების ტექნიკური მრჩეველი
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
MW	მეგავატი
MIGA	საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო
O-BAP	ოპერაციული ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
OSPF	პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი
PCM	პროექტის შესაბამისობის მექანიზმი
PSs	IFC გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტიანობის სტანდარტები
US$	აშშ დოლარი
WBG	მსოფლიო ბანკის ჯგუფი

რეზიუმე

i. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), როგორც მსოფლიო ბანკის ჯგუფის (WBG) წევრი, პასუხისმგებლობას იღებს განახორციელოს კომპლექსური ტრანზაქციების დაფინანსება, სტრუქტურიზება და ხელმძღვანელობა განვითარებად ბაზრებზე და უზრუნველყოს განხორციელებასთან დაკავშირებული მხარდაჭერა. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, IFC -იმ ინვესტიცია განახორციელა სპეციალური დანიშნულებით შექმნილ ორგანიზაციაში შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაში“[1] (AGL ან კომპანია), რომელიც დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე 187 მეგავატი (MW) სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (პროექტი) განვითარების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით.

ii. მსოფლიო ბანკის წევრი საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (MIGA) მიზნად ისახავს განვითარებად ქვეყნებში პროდუქტიული მიზნებისთვის ინვესტიციების ნაკადის ხელშეწყობას. ამ პროექტის მხარდასაჭერად, MIGA -მ უზრუნველყო პოლიტიკური რისკის დაზღვევა Tata Power International Pte. Limited-ის კაპიტალის ინვესტირებისთვის "აჭარისწყალი ჯორჯიაში".

iii. "აჭარისწყალი ჯორჯიას" 50 პროცენტი ეკუთვნის Clean Energy Invest AS (CEI) -ს და 50 პროცენტი კი Tata Power International PTE Limited-ს (Tata Power)[2]. პროექტი შედგება მდინარის ბუნებრივ რეჟიმში მომუშავე ორი ჰიდროელექტროსადგურისგან (HPPs), ესენია, 178 მეგავატი სიმძლავრის შუახევის ჰიდროელექტროსადგური და 9 მეგავატი სიმძლავრის სხალთის ჰიდროელექტროსადგური, ასევე ორი კაშხლისგან, ერთი წყალგადასაშვები კაშხლისგან და 38 კმ სიგრძის გვირაბებისგან. პროექტი შეიმუშავდა CEI-ს და IFC InfraVentures-ის მიერ. 2014 წლის მაისში, IFC-მ გამოყო 70 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის A-სესხი და განახორციელა 30.8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია სააქციო კაპიტალში, IFC InfraVentures-ის 2.6 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის გარდა. 2015 წლის აპრილში, MIGA-მ გასცა 63 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის გარანტია, რომელიც ფარავდა სინგაპურის Tata Power International Pte. Ltd.-ის მიერ "აჭარისწყალი ჯორჯიაში" განთავსებულ სააქციო ინვესტიციას. გარანტია გაცემულ იქნა 15 წლამდე ვადით გადაცემის შეზღუდვის, ექსპროპრიაციის, ომისა და სამოქალაქო არეულობის, ასევე კონტრაქტის დარღვევის რისკების დაზღვევის მიზნით. 2020 წელს, IFC-მ თავისი სააქციო წილი პროპორციულად მიჰყიდა CEI-ს და Tata Power-ს.

iv. 2018 წლის თებერვალში, IFC-სა და MIGA-ს შესაბამისობის მრჩეველმა/ ომბუდსმენმა (CAO), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)

---

[1] https://disclosures.ifc.org/project-detail/SII/33435/adjaristsqali-georgia-llc

[2] https://disclosures.ifc.org/project-detail/SII/33435/adjaristsqali-georgia-llc

პროექტებთან დაკავშირებული საჩივრების (PCM) განყოფილებამ და აზიის განვითარების ბანკის (ADB) სპეციალური პროექტის ფასილიტატორის ოფისმა (OSPF) მიიღეს საჩივარი, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების რაბათის უბნის 17 მცხოვრები[3]. საჩივარში გამოთქმული იყო შეშფოთება ქვების ჩამოცვენის და მეწყერის გაზრდილ რისკებთან; მიწისქვეშა წყლების შემცირებასთან; და მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფით ზემოქმედებასთან, მათ შორის, ადგილობრივი თევზის სახეობების გაქრობასთან დაკავშირებით, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები პროექტის სამშენებლო საქმიანობას მიაწერდნენ. 2018 წლის აპრილში შესაბამისობის მრჩევლის/ომბუდსმენის ოფისმა საჩივარი შემდგომი შესწავლისთვის შესაფერისად მიიჩნია.

v. CAO-ს მიერ განხორციელებული შეფასების პროცესში მომჩივანები და „აჭარისწყალი ჯორჯია“ შეთანხმდნენ მონაწილეობა მიეღოთ დავის გადაწყვეტის (DR) პროცესში, რომელსაც ერთობლივად გაუძღვებოდა CAO და PCM და დააკვირდებოდა OSPF. ეს პროცესი 2018 წლის ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე პერიოდში მიმდინარეობდა და დასრულდა საბოლოო შეთანხმების მიღწევის გარეშე, ორივე მხარის მცდელობის მიუხედავად, გადაეჭრათ სადავო საკითხები. PCM-მა და OSPF-მა დავის განხილვის პროცესის დასრულების შემდეგ, შესაბამისად, დახურეს EBRD-ის და ADB-ის მიერ მიღებული საჩივრები. შესაბამისობის მრჩევლის/ომბუდსმენის ოფისმა (CAO) IFC-ის და MIGA-ს მიერ მიღებული საჩივარი CAO-ს შესაბამისობის განყოფილებას 2020 წლის ნოემბერში გადასცა.

vi. CAO -მ შესაბამისობის შეფასება 2021 წლის დეკემბერში დაასრულა და დაასკვნა, რომ მიწისქვეშა წყლების ნაკადებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით მოკვლევის ჩატარება იყო საჭირო . CAO-მ დააფიქსირა, რომ პროექტის მშენებლობის დროს არ მომხდარა ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება და დაასკვნა, რომ მეწყერისა და ქვათაცვენის რისკები სათანადოდ იყო გათვალისწინებული “აჭარისწყალი ჯორჯიას” მიერ დაპროექტების და მშენებლობის დროს. შესაბამისად, ქვათაცვენისა და მეწყერის საკითხები გამოირიცხა CAO-ს მოკვლევიდან. IFC-მ და MIGA-მ CAO-ს შესაბამისობის კვლევის ანგარიში 2025 წლის აპრილში მიიღეს.

vii. მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებით, IFC-მ ჩაატარა კომპლექსური წინასაინვესტიციო გარემოსდაცვითი და სოციალური შემოწმება (ESDD) ESIA-ს საფუძველზე, რომელმაც გვირაბის გაყვანის არეალის გავლენა მიწისქვეშა წყლების შემცირებაზე შესაძლებლად მიიჩნია და აღიარა პრობლემურ რელიეფზე წყაროების რუკების შედგენის არაპრაქტიკულობა, რის ნაცვლადაც ჰოლისტიკური, რისკებზე

[3] IFC and MIGA CAO case: https://www.cao-ombudsman.org/cases/georgia-agl-01makhalakidzeebi
EBRD PCM case: https://www.ebrd.com/home/what-we-do/projects/independent-project-accountability-mechanism/case-registry/shuakhevi-hpp.html
ADB OSPF case: https://www.adb.org/who-we-are/accountability-mechanism/complaint/georgia-adjaristsqali-hydropower-project

დამყარებული მიდგომა აირჩია. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში ასახული შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავდა გვირაბის დუღაბირებას მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებული რისკების და მშენებლობის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის დებულებების საპასუხოდ, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ალტერნატიული წყალმომარაგება სამშენებლო სამუშაოების გამო სასმელი წყლის დაკარგვის შემთხვევაში.

viii. IFC დაეთანხმა "აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ გვირაბებში წყლის შეღწევის და წყალთან დაკავშირებით საზოგადოების საჩივრების მონიტორინგს, როგორც უფრო ეფექტიან და რისკებზე დამყარებულ მიდგომას, წყაროს წყლის მონიტორინგის ნაცვლად. IFC აღიარებს, რომ ზედამხედველობის დროს დროული ქმედებები არ განხორციელებულა კრედიტორების ტექნიკური მრჩევლის (LTA) მიერ 2016 წლის კვარტალურ ანგარიშებში წარმოდგენილი წყლის ჭარბი შეღწევის შესახებ ინფორმაციის საპასუხოდ, რაც ხელს შეუწყობდა დუღაბირების ღონისძიებების უფრო ადრეულ განხორციელებას. თუმცა, "აჭარისწყალი ჯორჯიამ" მოგვიანებით გაატარა მაკორექტირებელი ზომები, მათ შორის, გვირაბის ლოკალიზებული დუღაბირება (2017), გვირაბის მოპირკეთება (2018-2020) და მთლიანობის მონიტორინგი (2020 წლიდან დღემდე).

ix. მიუხედავად იმისა, რომ რაბათის მხოლოდ ის 22 ოჯახი იქნებოდა პოტენციურად დაზარალებული, რომლებიც მდინარის იმავე მხარეს ცხოვრობენ სადაც გვირაბი მდებარეობს, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს ჩირუხისწყალი-სხალთას გვირაბის მშენებლობის გამო მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შესახებ და კრედიტორების დაკვეთით მომზადებულმა დამოუკიდებელმა ანგარიშმა ვერ გამოავლინა კავშირი გვირაბის გაყვანის სამუშაოებსა და წყაროს წყალთან დაკავშირებით მომჩივანთა მიერ გამოთქმულ პრობლემებს შორის. მშენებლობის დროს "აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ შექმნილმა 600 წყაროს საზოგადოებრივი მონიტორინგის პროგრამამ მხოლოდ სეზონური ცვალებადობა გამოავლინა. 2017 წლის შემდეგ პროექტის დონეზე წყალთან დაკავშირებით არცერთი საჩივარი არ ყოფილა მიღებული.

x. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის მეშვეობით, "აჭარისწყალი ჯორჯიამ" პროაქტიურად და ნებაყოფლობით საფუძველზე, მუნიციპალიტეტთან ერთად, წამოიწყო და განახორციელა წყალმომარაგების პროექტი. ინფრასტრუქტურის პროექტი ერთობლივად დაფინანსდა, ხოლო მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა პროექტი და აიღო მიმდინარე მოვლა-პატრონობის განხორციელების პასუხისმგებლობა. ამჟამინდელი წყალმომარაგების სისტემა სრულფასოვნად ფუნქციონირებს და მუნიციპალიტეტის მიერ მუდმივი წყალმომარაგების სისტემის დასრულება 2025 წლის სექტემბრისთვის იგეგმება.

xi. ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, IFC ინვესტიციის წინა პერიოდში თევზის ნიმუშების აღებას საკმარისად მიიჩნევს გავლენის საბოლოო არეალის

შესასწავლად და აღნიშნავს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში არსებულ მცირე ხარვეზებს. CAO-ს ანგარიშში გამოთქმულია შეშფოთება, რომ პროექტის შეფასებისა და ზედამხედველობის ფაზებში გადაშენების პირას მყოფ და გადაშენების უკიდურესი საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებთან, მათ შორის, შავი ზღვის ორაგულთან და ევროპულ გველთევზასთან დაკავშირებული რისკები სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული. თუმცა, გავლენის საბოლოო არეალში არცერთი ეს სახეობა არ დაფიქსირებულა. შავი ზღვის ორაგული და ევროპული გველთევზა მდინარის მხოლოდ ქვედაწელში აღმოჩნდა; ეს სახეობები აჭარისწყლის აუზის ზედაწელში არ არის წარმოდგენილი. უფრო ზოგადად, "აჭარისწყალი ჯორჯიას" ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP) და გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA) მოიცავდა შემარბილებელ ზომებს მიგრირებად სახეობებთან და წყლის ჰაბიტატებთან დაკავშირებულ რისკებზე რეაგირებისთვის.

xii. "აჭარისწყალი ჯორჯიამ" 2013 წლიდან მოყოლებული განახორციელა თევზის სახეობების ყოვლისმომცველი მონიტორინგი ნიმუშების აღებით პროექტის ტერიტორიაზე, მათ გავრცელებასა და სიმრავლეზე დაკვირვების მიზნით. გარდა ამისა, "აჭარისწყალი ჯორჯიამ" განახორციელა სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიება, მათ შორის, ჩირუხისწყლის კაშხალთან ფუნქციონალური თევზსავალის მოწყობა და კაშხლების ზემოთ ადგილობრივი ყავისფერი კალმახის ყოველწლიური შევსება. IFC "აჭარისწყალი ჯორჯიას" მონიტორინგის კვლევის მეთოდებს მიზანშეწონილად მიიჩნევს და ექსპლუატაციის ფაზის მონაცემები აჩვენებს თევზის პოპულაციების მნიშვნელოვან აღდგენას მდინარე ჩირუხისწყალში. სახეობების სიმრავლისა და სიმდიდრის აღდგენა ადასტურებს პროგრესს წმინდა დანაკარგის არარსებობისა და ეკოლოგიური ნაკადის (e-flow) საკმარისი დონის მიმართულებით.

xiii. IFC აღიარებს, რომ საბაზისო ეკოლოგიური ნაკადი არ ითვალისწინებდა ძირითადი სახეობების სპეციფიკურ საჭიროებებს, რადგან ეკოლოგიური ნაკადის პრაქტიკა იმ დროს ჯერ კიდევ ვითარდებოდა და სქემით დაფარულ ტერიტორიაზე არ იყო დაფიქსირებული ჰაბიტატის კრიტიკულობის განმაპირობებელი სახეობები. თუმცა, დაბალი ნაკადის შერბილების სტრატეგია (LFMS) დაფუძნებული იყო 2012 წლიდან 2016 წლამდე ჩატარებულ ფართომასშტაბიან კვლევებზე. მისი რეკომენდაციაა შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, როგორებიცაა ეკოლოგიური ნაკადის მონიტორინგი, გამორეცხვის ისე დაგეგმვა რომ არ დაემთხვეს თევზის ქვირითობის პერიოდს, ყოველწლიური და გამორეცხვის შემდგომი ჰიდრომორფოლოგიური შეფასებების განხორციელება და თევზსავალის მონიტორინგი ჩირუხისწყლის კაშხალზე. აღნიშნული ღონისძიებებიდან ყველა დანერგილია.

xiv. მართალია IFC მიიჩნევს, რომ CAO-ს დასკვნები არ აკმაყოფილებს CAO-ს პოლიტიკაში განსაზღვრული არსებითი უარყოფითი ზიანის ზღვარს, IFC თანამშრომლობდა "აჭარისწყალი ჯორჯიასთან" CAO-ს რეკომენდაციების შესაბამისი ქმედებების შესამუშავებლად. ნებაყოფლობითი ღონისძიების სახით, "აჭარისწყალი

ჯორჯია” გააგრძელებს მუნიციპალიტეტის მიერ წყალმომარაგების გრძელვადიანი გადაწყვეტის ხელშეწყობას. “აჭარისწყალი ჯორჯია” ასევე შეაფასებს სახეობების პოპულაციის დონეებს სტატისტიკური ტენდენციების ანალიზისა და ეკოლოგიური ნაკადის შესაფერისობის ანალიზის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი შემარბილებელი ზომების განხორციელება საჭიროდ ჩაითვლება, ისინი ინტეგრირებული იქნება ბიომრავალფეროვნების ოპერატიულ სამოქმედო გეგმაში (O-BAP).

xxv. IFC და MIGA აფასებენ კომპანიის მზაობას და ღიაობას, IFC-ისთან თანამშრომლობის თვალსაზრისით და მადლიერნი არიან 2025 წლის მაისში IFC-ის ადგილზე ვიზიტის დროს ჩართულობისთვის. IFC აღიარებს მომჩივანების გადაწყვეტილებას, არ ითანამშრომლონ IFC-ისთან მიწისქვეშა წყლებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებში, მაგრამ კვლავაც მზადაა ითანამშრომლოს მათთან მომავალში მათი სურვილის შემთხვევაში, პროექტის რეგულარული ზედამხედველობის ფარგლებში.

I. შესავალი

1. მენეჯმენტის ეს ანგარიში პასუხობს შესაბამისობის მრჩევლის ომბუდსმენის (CAO) მიერ 2018 წლის თებერვალში სოფელ მახალაკიძეების რაბათის უბნის 17 მცხოვრებლისგან (მომჩივანები) მიღებული საჩივრის მოკვლევას: „აჭარისწყალი ჯორჯია“-01/მახალაკიძეები.[4] მენეჯმენტის ანგარიში შვიდ ნაწილად იყოფა: (i) I ნაწილი წარმოადგენს შესავალს; (ii) II ნაწილი აღწერს პროექტს; (iii) III ნაწილში შეჯამებულია საჩივრისა და CAO-ს პროცესი; (iv) IV ნაწილი წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტოს (MIGA) მენეჯმენტის პასუხს CAO-ს შესაბამისობის მოკვლევის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე; (v) V ნაწილი ასახავს მომჩივანებთან და კომპანიასთან კონსულტაციების მცდელობებს; (vi) VI ნაწილი ეხება მენეჯმენტის სამოქმედო გეგმას (MAP); და (vii) VII ნაწილი წარმოადგენს დასკვნას. 1-ლი დანართი შეიცავს მენეჯმენტის სამოქმედო გეგმას ცხრილის ფორმატით.

II. პროექტი

2. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ („აჭარისწყალი ჯორჯია“) არის ქართული სპეციალური დანიშნულების კომპანია, რომელიც დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე 187 მეგავატი (MW) სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (პროექტი) განვითარების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით. პროექტი შედგება მდინარის ბუნებრივ რეჟიმში მომუშავე ორი ჰიდროელექტროსადგურისგან (HPPs), ესენია, 178 მეგავატი სიმძლავრის შუახევის ჰიდროელექტროსადგური და 9 მეგავატი სიმძლავრის სხალთის ჰიდროელექტროსადგური, ასევე ორი კაშხლისგან, ერთი წყალგადასაშვები კაშხლისგან და 38 კმ სიგრძის გვირაბებისგან. პროექტი წარმოადგენდა უფრო დიდი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ნაწილს, რომელიც ასევე მოიცავდა ქვედაწელის (ხერთვისი) და შუაწელის (კორომხეთი) მონაკვეთებს (იხ. 1-ლი სურათი). თუმცა, ხერთვისისა და კორომხეთის სქემებზე შემუშავების ეტაპზევე ითქვა უარი. პროექტისთვის გამოყოფილ იქნა IFC-ის დაფინანსება (სესხი და კაპიტალი) და საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტოს (MIGA) გარანტია, რომლებიც შესაბამისად დამტკიცდა IFC-ის საბჭოს (IFC/R2014-0097) და MIGA-ს საბჭოს (MIGA/R2014-0101) მიერ .

[4] https://www.cao-ombudsman.org/cases/georgia-agl-01makhalakidzeebi

სურათი I. “აჭარისწყალი ჯორჯიას” რუკა



3. პროექტი ერთობლივად ეკუთვნის Clean Energy Invest AS (CEI)-ს და Tata Power-ს, რომელთაგან თითოეული 50%-იან წილს ფლობს (ერთად წარმოადგენენ აქციონერებს). პროექტი ერთობლივად შეიმუშავეს CEI-მ და მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ შექმნილმა გლობალური ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების ფონდმა IFC InfraVentures-მა, რომელშიც IFC კერძო სექტორის დეველოპერებთან ერთად თანადეველოპერის როლს ასრულებს. განვითარების ერთობლივი ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 2011 წლის აპრილში. IFC-მ განვითარების ხარჯებისთვის 2.6 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, ხოლო Tata Power-ი პროექტს სტრატეგიული პარტნიორის სტატუსით შეუერთდა.

4. CEI 2010 წლის თებერვალში დააარსა Clean Energy Group-ის მენეჯმენტის გუნდმა, განვითარებად ბაზრებზე ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში ინვესტირების მიზნით. CEI-ის 96 პროცენტი ეკუთვნის ოჯახის საკუთრებაში არსებულ ნორვეგიულ სამრეწველო კომპანია Norsk Mineral AS-ს, რომლის ინტერესის სფეროებია სამთო მოპოვება, ტექნოლოგიები, ენერგეტიკა, უძრავი ქონება და ფინანსები, ხოლო 4 პროცენტი ეკუთვნის პროფესიონალებისგან შემდგარ Clean Energy Group-ის მენეჯმენტის გუნდს, დიდი გამოცდილებით ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა Statkraft Energy და SN Power. ამჟამად საქართველო მისი ოპერირების ერთადერთი ბაზარია.

5. Tata Power-ის მფლობელია Tata Sons Limited (Tata ჯგუფის ორი ჰოლდინგური კომპანიიდან ერთ-ერთი) და მისი ინტერესის სფეროებია საწვავის წარმოება, საწვავის ტრანსპორტირება, ასევე, ელექტროენერგიის წარმოების, დისტრიბუციისა და გადაცემის ბიზნესი. ის ინდოეთის უდიდესი კერძო ენერგოკომპანიაა, რომელიც მთლიანობაში ფლობს 15.6 გვტ დამდგარ სიმძლავრეს, საიდანაც 6.7 გვტ განახლებად ხოლო 8.9 გვტ ტრადიციულ ენერგიაზე მოდის. კომპანია ინდოეთში

1990-იან წლებში გაფართოვდა კერძო სექტორის რეფორმების შემდეგ და ბოლო ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო დივერსიფიკაციისკენ ისწრაფვის. ის შედის ბომბეის საფონდო ბირჟის და ინდოეთის ეროვნული საფონდო ბირჟის ლისტინგში და მისი საბაზრო კაპიტალიზაცია 2025 წლის 10 ივნისის მდგომარეობით 1.26 ტრილიონ ინდურ რუპიას შეადგენდა (~15 მლრდ. აშშ დოლარი).

6. პროექტის მშენებლობა 2014-2020 წლებში მიმდინარეობდა. 2017 წლის ოქტომბერში, მშენებლობის დროს არასაკმარისი საყრდენის გამოყენების და კლდოვანი ფორმირებების გაფართოების შედეგად ქანების დაბზარვის და სიმტკიცის დაკარგვის გამო რამდენიმე გვირაბი ჩამოინგრა. გვირაბის შეკეთების სამუშაოები 2018 წელს დაიწყო, პროექტი დასრულდა და ექსპლუატაციაში 2020 წელს შევიდა. პროექტი დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას.

7. „აჭარისწყალი ჯორჯიას“ პროექტი მიეკუთვნება გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) პროექტების A კატეგორიას, მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გამო. PS7-ის გარდა, გამოიყენება საქმიანობის ეფექტიანი შესრულების ყველა სტანდარტი (PS); PS7 არ გამოიყენება, რადგან ზემოქმედების ქვეშ არ მოხვედრილა ავთოქთონური (ძირძველი) მოსახლეობა. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შემსწავლელმა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა (IESC) მომზადების პროცესში უზრუნველყო კომპლექსური შემოწმების მომსახურების გაწევა და ამჟამად უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის მიმდინარე მონიტორინგის განხორციელებას. გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის რეზიუმე (ESRS) და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. პროექტის მშენებლობა 2014 წელს დაიწყო, კომერციული ოპერაციების განხორციელება კი შუახევი ჰესისთვის 2020 წელს, ხოლო სხალთა ჰესისთვის 2021 წელს. ზედამხედველობა მოიცავს რეგულარულ მონიტორინგს და ანგარიშგებას, ყოველწლიურ ვიზიტებს, E&S მონიტორინგის ანგარიშების მომზადებას კრედიტორების IESC ექსპერტის მიერ და „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი წლიური მონიტორინგის ანგარიშების განხილვას.

<u>განვითარების მიმართულებით მიღწეული შედეგები</u>

8. პროექტი მხარს უჭერს საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და მწვანე გარდაქმნის გაძლიერებაში. „აჭარისწყალი ჯორჯია“ ხელს უწყობს ქვეყნის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ზამთრის თვეებში, როდესაც ენერგეტიკული დეფიციტია, ასევე, საქართველოს დამოკიდებულების შემცირებას იმპორტირებულ ელექტროენერგიასა და საწვავზე, და ნახშირბადის ნაერთების ემისიის თავიდან აცილებას. პროექტი ზრდის ქვეყნის განახლებადი ენერგიის წმინდა გამომუშავებას დაახლოებით 415 გიგავატ/საათით (GWh) წელიწადში, რაც შეესაბამება წლიური ენერგოგენერაციის დაახლოებით 3 პროცენტს. „აჭარისწყალი

ჯორჯია“ ხელს უწყობს საერთაშორისო ენერგოვაჭრობას ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტით, ზაფხულის პერიოდში არსებული მაღალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

9. პროექტში დასაქმებულია 72 ადამიანი, მათ შორის 13 ქალი. მშენებლობის ეტაპზე პროექტმა უზრუნველყო ადგილობრივი არაკვალიფიციური მუშახელის დასაქმების შესაძლებლობები და ჩაატარა საბაზისო ტრენინგი ახლომდებარე სოფლებიდან 600-ზე მეტი ადამიანისთვის. ამასთან ერთად, პროექტის ფარგლებში განახლებულმა და ახლად აშენებულმა გზებმა გააუმჯობესა სატრანსპორტო კავშირები და უსაფრთხოება და შეამცირა მგზავრობის დრო ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

IFC -ს ინვესტიცია

10. IFC-მ ინვესტიცია განახორციელა „აჭარისწყალი ჯორჯიაში“, განახლებადი ენერგიის გამომუშავების ზრდის, სათბურის აირების ემისიების შემცირების, ინვესტიციების მოზიდვის, საერთაშორისო ენერგოვაჭრობის ხელშეწყობის და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 416 მილიონი აშშ დოლარი იყო. აქციონერებმა 135 მილიონი აშშ დოლარის შენატანი განახორციელეს კაპიტალში. 2014 წელს IFC-მ 30.8 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა კაპიტალში და გამოყო 70 მილიონი აშშ დოლარის A-სესხი (IFC/R2014-0097), რითაც გახდა დაფინანსების პაკეტის წამყვანი ორგანიზატორი. აზიის განვითარების ბანკი (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) შეუერთდნენ IFC-ს როგორც თანაკრედიტორები (ერთობლივად, როგორც ძირითადი კრედიტორები), თითოეული 90 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ძირითადი სესხით (ძირითადი სესხები IFC-ის A-სესხთან ერთად). კაპიტალი და ვალი სრულად გაიცა. 2020 წელს, IFC-მ თავისი წილი CEI-ს და Tata-ს პროპორციულად მიჰყიდა.

11. 2019 წლის თებერვალში, IFC-ის საბჭომ პროექტისთვის დაამტკიცა IFC-ის არსებული დაფინანსების რესტრუქტურიზაცია (IFC/R2019-0028), იმისათვის რომ შესაძლებელი ყოფილიყო სადაზღვევო შემოსავლების გამოთავისუფლება და სპონსორებისგან დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, რაც აუცილებელი იყო გვირაბის შეკეთების დასასრულებლად. პროექტი 2020 წელს გვირაბის შეკეთების სამუშაოების დასრულების შემდეგ მოლოდინების შესაბამისად ფუნქციონირებს. IFC-ის მიერ გამოყოფილი სესხის ოდენობა 2025 წლის ივნისის მდგომარეობით 67.2 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, 2034 წელს საბოლოო დაფარვის ვადით .

MIGA -ს გარანტია

12. 2015 წლის 9 აპრილს, MIGA-მ გასცა 63 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გარანტია, სინგაპურის Tata Power International Pte. Ltd.-ის (გარანტიის მფლობელი)

მიერ „აჭარისწყალ ჯორჯიაში“ განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის დასაფარად[5]. საგარანტიო დაფარვა გათვლილია 15 წლამდე პერიოდისთვის გადაცემის შეზღუდვის, ექსპროპრიაციის, ომისა და სამოქალაქო არეულობის, ასევე კონტრაქტის დარღვევის რისკების დასაზღვევად.

13. IFC და MIGA შეთანხმდნენ, MIGA-ს გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის პოლიტიკის შესაბამისად, რომ MIGA დაეყრდნობა IFC-ს ამ ერთობლივი პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური შემოწმებისა და მონიტორინგის განსახორციელებლად. ამიტომ, ეს პასუხი ძირითადად ფოკუსირებულია IFC-ის როლზე, შესაბამის შემთხვევაში MIGA-ს მითითებით. MIGA, შეძლებისდაგვარად მხარს დაუჭერს IFC-ს და „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და ხელს შეუწყობს კოორდინაციას გარანტიის მფლობელთან.

III. CAO -ს მიერ მიღებული საჩივარი

14. 2018 წლის თებერვალში, IFC-სა და MIGA-ს შესაბამისობის მრჩეველმა ომბუდსმენმა (CAO), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროექტებთან დაკავშირებული საჩივრების განყოფილებამ (PCM) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) სპეციალური პროექტის ფასილიტატორის ოფისმა (OSPF) მიიღეს საჩივარი, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების რაბათის უბნის 17 მცხოვრები[6]. საჩივარში გამოთქმული იყო შეშფოთება ქვების ჩამოცვენის და მეწყერის გაზრდილ რისკებთან; მიწისქვეშა წყლების შემცირებასთან; და მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფით ზემოქმედებასთან, მათ შორის, ადგილობრივი თევზის სახეობების გაქრობასთან დაკავშირებით, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები პროექტის სამშენებლო საქმიანობას მიაწერდნენ. 2018 წლის აპრილში შესაბამისობის მრჩევლის/ომბუდსმენის ოფისმა საჩივარი შემდგომი შესწავლისთვის შესაფერისად მიიჩნია.

15. CAO-ს მიერ განხორციელებული შეფასების პროცესში მომჩივანები და „აჭარისწყალი ჯორჯია“ შეთანხმდნენ მონაწილეობა მიეღოთ დავის გადაწყვეტის (DR) პროცესში, რომელსაც ერთობლივად გაუძღვებოდნენ CAO და PCM, და დააკვირდებოდა OSPF. ეს პროცესი 2018 წლის ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე პერიოდში მიმდინარეობდა და დასრულდა საბოლოო შეთანხმების მიღწევის გარეშე,

---

HYPERLINK "https://www.cao-ombudsman.org/cases/georgia-agl-01makhalakidzeeb"https://www.cao-ombudsman.org/cases/georgia-agl-01makha

lakidzeebi

A CAO case: https://www.cao-ombudsman.org/cases/georgia-agl-01makhalakidzeebi EBRD PCM case: https://www.ebrd.com/home/what-we-do/projects/independent-project-accountability- mechanism/case-registry/shuakhevi-hpp.html

ADB OSPF case: https://www.adb.org/who-we-are/accountability-mechanism/complaint/georgia-adjaristsqali-hydropower-project

ორივე მხარის მცდელობის მიუხედავად, გადაეჭრათ სადავო საკითხები. PCM-მა და OSPF-მა დავის განხილვის პროცესის დასრულების შემდეგ, შესაბამისად, დახურეს EBRD-ის და ADB-ის მიერ მიღებული საჩივრები. შესაბამისობის მრჩევლის/ომბუდსმენის ოფისმა (CAO) IFC-ის და MIGA-ს მიერ მიღებული საჩივარი CAO-ს შესაბამისობის განყოფილებას 2020 წლის ნოემბერში გადასცა.

16. CAO -მ შესაბამისობის შეფასება 2021 წლის დეკემბერში დაასრულა და დაასკვნა, რომ მიწისქვეშა წყლების ნაკადებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით მოკვლევის ჩატარება იყო საჭირო . CAO-მ დააფიქსირა, რომ პროექტის მშენებლობის დროს არ მომხდარა ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება და დაასკვნა, რომ მეწყერისა და ქვათაცვენის რისკები სათანადოდ იყო გათვალისწინებული "აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ დაპროექტების და მშენებლობის დროს. შესაბამისად, ქვათაცვენისა და მეწყერის საკითხები გამოირიცხა CAO-ს მოკვლევიდან. IFC-მ და MIGA-მ CAO-ს შესაბამისობის კვლევის ანგარიში 2025 წლის აპრილში მიიღეს.

17. CAO-ს ანგარიშში აღიარებული იყო საზოგადოების შეშფოთება მეწყერთან და მიწის არასტაბილურობასთან დაკავშირებით, მაგრამ პროექტსა და მეწყერის რისკებს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი არ გამოვლინდა. მიწისქვეშა წყლებისა და ბიომრავალფეროვნების კუთხით, CAO-მ აღმოაჩინა ნაკლოვანებები IFC-ის კომპლექსურ შემოწმებასა და ზედამხედველობაში. CAO-მ გაარკვია, რომ მომჩივანები საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის წყაროს წყალზე იყვნენ დამოკიდებულნი, თუმცა ლანდშაფტის სირთულე და შეზღუდული საბაზისო ინფორმაცია ართულებდა დასკვნის გაკეთებას, იმოქმედა თუ არა გვირაბის მშენებლობამ წყაროებზე, წყლისა და სანაპირო ეკოსისტემებზე. CAO-მ პროექტისთვის მოამზადა სპეციფიკური რეკომენდაციები მიწისქვეშა წყლებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ.

<u>EBRD PCM საჩივარი</u>

18. 2018 წლის ივლისში, EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული საჩივრების განყოფილებამ (PCM) მიიღო მეორე საჩივარი, რომელშიც აღნიშნული იყო გარემოსდაცვითი და სოციალური წუხილები. EBRD-ის საბჭომ დაამტკიცა PCM ექსპერტი შესაბამისობის მიმოხილვის განსახორციელებლად 2019 წლის ივლისში. PCM ექსპერტმა მოკვლევა დაასრულა 2021 წლის მარტში. EBRD-ის მიერ შემუშავებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა გამოვლენილ შეუსაბამობებთან დაკავშირებული მიგნებების და რეკომენდაციების საპასუხოდ, საბჭომ 2022 წლის ოქტომბერში დაამტკიცა.

19. EBRD-ის მიერ შემუშავებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა მოიცავდა განახლებულ პოლიტიკასთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, მაგალითად პროექტის მოქმედების სფეროს განსაზღვრას, ტექნიკური და გარემოსდაცვითი და სოციალური სამუშაო ნაკადების ინტეგრირებას და ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად საბაზისო ნიშნულების დადგენას. სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს პროექტის განხორციელებისას შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ისეთი გეგმების მუდმივ მონიტორინგს და განახლებას, როგორებიცაა დაინტერესებული

მხარეების ჩართულობის გეგმა და ოპერაციული ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (O-BAP) . ის ასევე ხაზს უსვამს ოპერაციულ ფაზაში ზემოქმედებაზე რეაგირების, საჩივრების მექანიზმების შენარჩუნებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას რეგულარული განახლებებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით. სამოქმედო გეგმის ღონისძიებები ან დასრულებულია, ან მიმდინარე მონიტორინგის ნაწილი იქნება. IFC-მ გაითვალისწინა EBRD-ის MAP-ი საკუთარი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, მიდგომების თანხვედრის, თანმიმდევრულობის ხელშეწყობის და კრედიტორებს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

IV. მენეჯმენტის პასუხი

20. IFC-ის და MIGA-ს მენეჯმენტი აღიარებენ საჩივარში წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხებს და პატივს სცემენ CAO-ს მიერ საჩივრის შეფასების პროცესს. ეს თავი პასუხობს CAO-ს მიგნებებსა და რეკომენდაციებს და განმარტავს მენეჯმენტის პერსპექტივებს მდგრადობის ჩარჩოს[7] მოთხოვნებთან დაკავშირებით საჩივარში მითითებული საკითხების მიმართ.

<u>მიწისქვეშა წყლები</u>

[7] IFC-ის მიერ კომპანიაში 2014 წელს განხორციელებული ინვესტიცია ექვემდებარებოდა 2012 წლის მდგრადი განვითარების პოლიტიკასა და შესრულების სტანდარტებს, რომლებიც ერთად განიხილება, როგორც IFC-ის მდგრადი განვითარების ჩარჩო. MIGA-ს მიერ პროექტისთვის გაცემული გარანტია ექვემდებარებოდა MIGA-ს 2013 წლის მდგრადი განვითარების პოლიტიკასა და შესრულების სტანდარტებს, რომლებიც ერთად განიხილება, როგორც MIGA-ს მდგრადი განვითარების ჩარჩო.

.

საბაზისო მონაცემები მიწისქვეშა წყლების შესახებ: *CAO -მ აღნიშნა, რომ IFC-ის გარემოსდაცვით და სოციალურ კომპლექსურ შემოწმებას არ გამოუვლენია კლიენტის მიერ PS1 (პუნქტი 7) და PS6 (პუნქტი 24) სტანდარტების შეუსრულებლობა, ან არ მოუხდენია რეაგირება მასზე, რასაც შედეგად მოჰყვა მიწისქვეშა წყლების გამოყენებისა და კონკრეტული წყაროებიდან მათზე დამოკიდებული თემებისთვის მიწოდებული მიწისქვეშა წყლების რაოდენობისა და ხარისხის შესახებ საბაზისო ინფორმაციის არარსებობა, რაც ეწინააღმდეგება მისი მდგრადი განვითარების პოლიტიკის პრინციპებს (პუნქტები 7, 26 და 28).*

მიწისქვეშა წყლებზე პოტენციური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები: *CAO -ს თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ IFC-ის ინვესტიციის წინა შეფასება აღნიშნული რისკების თანაზომიერი იყო, IFC-მ არ შეასრულა მდგრადი განვითარების პოლიტიკის მოთხოვნა „მის მიერ დაფინანსებული ბიზნეს საქმიანობის ეფექტიანი შესრულების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებასთან, სათანადო გულმოდგინების უზრუნველყოფასთან, მონიტორინგთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებით", როდესაც საქმე ეხებოდა მიწისქვეშა წყლების რესურსებზე პროექტის ზემოქმედებას და რისკების მართვას. PS1 სტანდარტი (პუნქტი 13) IFC-ის კლიენტებისგან მოითხოვს მართვის პროგრამების შექმნას შერბილების ღონისძიებებით, რომლებიც მიმართული იქნება პროექტის ყველა იდენტიფიცირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკზე და ზემოქმედებაზე, ამ რისკებისა და ზემოქმედების პროპორციული დეტალების და კომპლექსურობის გათვალისწინებით (პუნქტი 15). გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებაში განსაზღვრული ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებები მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებასთან და რისკების მართვასთან დაკავშირებით არ იყო შეტანილი პროექტის ESAP-ში, CEMP-ში ან სხვა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შერბილების დოკუმენტებში. შედეგად, IFC-ის მიერ „აჭარისწყალი ჯორჯიაში" მისი ინვესტიციის ზედამხედველობა არ იყო სათანადოდ განხორციელებული კლიენტის მიერ გვირაბის დუღაბირების ღონისძიებების განხორციელებასთან და დაზარალებული მოსახლეობისთვის ალტერნატიული წყალმომარაგების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ეს, თავის მხრივ, ნიშნავდა, რომ ასევე არ იყო სათანადოდ განხორციელებული IFC-ის მდგრადი განვითარების პოლიტიკით განსაზღვრული ვალდებულება, გადაემოწმებინა კლიენტის შესაბამისობა PS1 და PS6 სტანდარტების მოთხოვნებთან.*

21. IFC-მ განახორციელა საფუძვლიანი წინასაინვესტიციო გარემოსდაცვითი და სოციალური შემოწმება (ESDD) გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების (ESIA) ყოვლისმომცველი მიმოხილვისა და შემდგომი დეტალური ჰიდროგეოლოგიური კვლევების მეშვეობით. ამ შეფასებების თანახმად, გვირაბის გაყვანის მთელი ტერიტორია პოტენციურად მოწყვლადი აღმოჩნდა მიწისქვეშა წყლების შემცირების თვალსაზრისით.

22. ESIA-მ ასევე აღიარა მიუწვდომელ რელიეფზე წყაროების რუკების შედგენასთან დაკავშირებული თანდაყოლილი რისკები და ტექნიკური სირთულეები.[8] 5,000 ჰექტარზე მეტი ფართობის წყალშემკრები აუზისა და რთული ლანდშაფტის გათვალისწინებით, რომელიც ხასიათდება რთული და ციცაბო ფერდობებით, რეგიონში ცალკეული წყაროების იდენტიფიცირება საშიშად და ასევე არაპრაქტიკულად ჩაითვალა. ამასთან ერთად, ადგილობრივი თემების მიერ გამოყენებულ შემკრებ ავზებში წყლის შემოდინების საბაზისო მონიტორინგი ვერ უზრუნველყოფდა წყაროს რესურსის შესახებ ზუსტ რაოდენობრივ ინფორმაციას, წვიმის წყლის გამო და მილსადენების სუსტი შეერთებებიდან პოტენციური დანაკარგების გათვალისწინებით. პროექტამდე რუკების შედგენა და წყაროების მონიტორინგი არ მოგვცემდა დამატებით ინფორმაციას იდენტიფიცირებული რისკების შესახებ.

[8] წყაროს დებიტი კომპლექსური პარამეტრია მონიტორინგის თვალსაზრისით, რომელიც მოითხოვს: 1) წყაროს წყლის მატარებელი ქანიდან ამოსვლის წერტილის მკაფიოდ იდენტიფიცირებას; 2) „ჩამჭერის და ტიხრის" სისტემის დამონტაჟებას ამოსვლის წერტილში, ან ამოსვლის ხაზის გასწვრივ, თუ წყარო დაკავშირებულია ბზარების სისტემასთან; და 3) მონიტორინგის სიხშირე უნდა იყოს კავშირში მეტეოროლოგიურ მოვლენებთან.

23. შესაბამისად, IFC დაეთანხმა „აჭარისწყალი ჯორჯიას“ გადაწყვეტილებას არ შეეგროვებინა წყაროების შესახებ საბაზისო ინფორმაცია, რადგან ESIA-მ ჰოლისტიკური, რისკებზე დამყარებული მიდგომა გამოიყენა. შერბილების სტრატეგია ეყრდნობოდა საწყის საინჟინრო მოთხოვნას - გვირაბში ჭარბი წყლის შეღწევის შემთხვევაში ლოკალიზებული დუღაბირების განხორციელებასთან დაკავშირებით; აღნიშნულის შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო გვირაბის მშენებლობის შედეგად მიწისქვეშა წყლების ამოწურვის რისკის შემცირება. თავდაპირველ პროექტში გვირაბის მოპირკეთება არ იყო გათვალისწინებული. თუმცა, სხალთა-დიდაჭარას და დიდაჭარა-შუახევის გვირაბების მონაკვეთების ჩამონგრევის შემდეგ, მოპირკეთება განხორციელდა მაკორექტირებელი ქმედების სახით ყველა გვირაბში, მათ შორის, მახალაკიძეებთან ყველაზე ახლოს მდებარე ჩირუხისწყალ-სხალთას გვირაბში, რომელიც არ ჩამოინგრა.[9]

24. ESIA-ს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) მოიცავდა ღონისძიებებს მშენებლობის დროს სასმელი წყლის პოტენციურ დაკარგვაზე რეაგირებისთვის. სამშენებლო საქმიანობის გამო სასმელი წყლის დანაკარგის შემთხვევაში, წყლის რესურსებზე ზემოქმედების შესახებ ადგილობრივი თემების ნებისმიერი საჩივრის განხილვისა და ტექნიკური გადაწყვეტის ან ალტერნატიული წყალმომარაგების უზრუნველყოფის ვალდებულება ნათლად იყო ასახული მშენებლობის გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში (CEMP): ***წყლის რესურსებისა და წყლის ხარისხის მართვის გეგმა.*** გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) არ მოიცავდა წყლის პოტენციურ დეფიციტთან დაკავშირებულ ქმედებებს, რადგან ეს რისკები უკვე გათვალისწინებული იყო არსებული მართვის გეგმებით და არ წარმოადგენდა გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური შემოწმების (ESDD) დროს გამოვლენილ ხარვეზებს.[10] ეს ვალდებულებები ასევე ხაზგასმული იყო IFC-ის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშში (ESRS).

[9] ლოკალიზებული დუღაბირება არის დუღაბის მიზანმიმართული შეყვანა კონკრეტულ ადგილებში გაჟონვის დასალუქად, სიცარიელეების შესავსებად ან წყლის შეღწევის შესაჩერებლად. მოპირკეთება არის უწყვეტი სტრუქტურული ფენის დატანა (მაგ., ბეტონი, „შოტკრეტი“ ან ფოლადი) გვირაბის გასწვრივ სტაბილურობის, საყრდენის და გრუნტის წნევისა და წყლის შეღწევისგან დაცვის უზრუნველსაყოფად.

[10] IFC-ის ESAP სახელმძღვანელო განმარტავს, რომ სამოქმედო პუნქტები უნდა შემოიფარგლოს იმ საქმიანობებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კლიენტის მართვის პროგრამებით IFC-ის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების დროს. კლიენტების მართვის პროგრამებში ან ESIA მართვის გეგმებში უკვე მითითებული მნიშვნელოვანი ქმედებები გაშუქებული უნდა იყოს ESRS-ში.

ზედამხედველობა

წყაროს წყლის მონიტორინგი: *CAO თვლის, რომ IFC-მ ადეკვატურად ვერ შეძლო წყაროს წყლის მონიტორინგის, როგორც დადგენილი შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების ზედამხედველობა, გვირაბის მშენებლობის დროს მიწისქვეშა წყლებზე და მოსახლეობასთან დაკავშირებულ ეკოსისტემურ სერვისებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. პროექტის დოკუმენტები მიუთითებს, რომ IFC-ს არ განუხორციელებია წყაროს წყლის მონიტორინგის მონაცემებზე წვდომა ან მათი ანალიზი, ახდენდა თუ არა გვირაბის გათხრის სამუშაოები გავლენას ადგილობრივ წყაროებზე. ანალოგიურად, ზედამხედველობის დროს IFC-მ არ მოითხოვა კლიენტისგან წყაროს მონიტორინგის მონაცემების გამოყენება პროექტის განხორციელების დასასაბუთებლად. PS1 სტანდარტი კლიენტისგან მოითხოვს შერბილების ღონისძიებების განსაზღვრას და განხორციელებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების სამართავად, როგორიცაა მიწისქვეშა წყლებზე და დაკავშირებულ წყაროებზე ზემოქმედება, ხოლო მდგრადობის პოლიტიკა (პუნქტები 7, 45) IFC-სგან მოითხოვს კლიენტის PS სტანდარტებთან შესაბამისობის ზედამხედველობას. ამ შემთხვევაში, CAO თვლის, რომ IFC-მ არ განახორციელა წყაროს წყლის მონიტორინგის ზედამხედველობა იმის გასარკვევად, „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ გამოყენებული შერბილების ღონისძიებები აფერხებდა თუ არა მიწისქვეშა წყლებზე და ადგილობრივი თემების მიერ გამოყენებულ წყაროებზე ზემოქმედებას გვირაბის მშენებლობის დროს. შედეგად, IFC-ს არ შეეძლო თავისი კლიენტის შესაბამისობის უზრუნველყოფა PS1 სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებთან.*

გვირაბის დუღაბირება და მოპირკეთება: *CAO მიიჩნევს, რომ IFC-მ ვერ შეასრულა მდგრადი განვითარების პოლიტიკით განსაზღვრული ვალდებულებები (პუნქტები 7, 45) „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ზედამხედველობის თვალსაზრისით. კერძოდ, განხორციელდა თუ არა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ჰიდროელექტროსადგურის სქემის მშენებლობის დროს PS1 სტანდარტის შესაბამისად შემდეგი მიზეზების გამო: IFC-ის გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური შემოწმების დასკვნის თანახმად, პროექტი დააკმაყოფილებდა PS1 სტანდარტის მოთხოვნებს იქიდან გამომდინარე, რომ დუღაბირება და მოპირკეთება ხელს შეუშლიდა გვირაბის მშენებლობის დროს წყლის ჭარბ შეღწევას (მშენებლობის გაგრძელება ვერ მოხდებოდა ჭარბი წყლის შეღწევისას). ეს მოსაზრება ემყარებოდა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებას (ESIA) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმას (ESMP) და ასევე, „აჭარისწყალი ჯორჯიას“ დაკვეთით 2013 წელს განხორციელებულ ჰიდროგეოლოგიურ დოკუმენტურ შეფასებას, რომელთაგან თითოეულმა ხაზი გაუსვა გვირაბის დუღაბირების და მოპირკეთების მნიშვნელობას, ადგილობრივ მიწისქვეშა წყლებსა და წყაროებზე მშენებლობის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად .*

თუმცა, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა გვირაბის დუღაბირებას და მოპირკეთებას და IFC-მ არ განახორციელა ღონისძიებები ამ საკითხებზე რეაგირებისთვის მშენებლობის ეტაპზე, გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის ფარგლებში. IFC-ის უმოქმედობა გაგრძელდა დამოუკიდებელი ინჟინრის სამშენებლო ანგარიშების მიუხედავად, რომლებშიც აღწერილი იყო გვირაბის მშენებლობის დროს წყლის ჭარბი შეღწევა, არაადეკვატური დუღაბირება და მოპირკეთება და გვირაბის უწყვეტი მშენებლობა შეღწეული წყლის მაღალი დონის მიუხედავად.

ადგილობრივი თემის წყალმომარაგება: *CAO მიიჩნევს, რომ IFC-მ ზედამხედველობის დროს არ შეასრულა მდგრადი განვითარების პოლიტიკით (პუნქტები 7, 9 და 45) გათვალისწინებული ვალდებულება შემდეგი მიზეზების გამო: IFC-მ არ უზრუნველყო პროექტის წყალმომარაგების ინიციატივების შესაბამისობა პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში მითითებულ ამოცანებთან, სუფთა და საკმარისი წყლით მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. IFC-ისთვის ცნობილი იყო, რომ წყალმომარაგების პროექტი არაოპტიმალური იყო და კლიენტისგან არ მოითხოვდა პროექტით დაზარალებული თემის სუფთა წყლის საიმედო და ადეკვატური მიწოდებით უზრუნველყოფას. IFC-ს არ უმუშავია თავის კლიენტთან ამ მხრივ პროექტის შესრულების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, CAO მიიჩნევს, რომ IFC-მ არ უზრუნველყო კლიენტის მიერ საჭირო ზომების გატარება წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების საპასუხოდ, როგორც ეს შემოთავაზებული იყო ESIA-ში, რასაც შედეგად მოჰყვა კლიენტის მიერ PS1 სტანდარტის შეუსრულებლობა (პუნქტები 13, 15 და 16).*

25. IFC დაეთანხმა "აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ გვირაბებში წყლის შეღწევის და წყალთან დაკავშირებით საზოგადოების საჩივრების მონიტორინგს, როგორც უფრო ეფექტიან და რისკებზე დამყარებულ მიდგომას, წყაროს წყლის მონიტორინგის ნაცვლად. IFC აღიარებს, რომ ზედამხედველობის დროს დროული ქმედებები არ განხორციელებულა კრედიტორების ტექნიკური მრჩევლის (LTA) მიერ 2016 წლის კვარტალურ ანგარიშებში წარმოდგენილი წყლის ჭარბი შეღწევის შესახებ ინფორმაციის საპასუხოდ, რაც ხელს შეუწყობდა დუღაბირების ღონისძიებების

უფრო ადრეულ განხორციელებას. “აჭარისწყალი ჯორჯიამ” მოგვიანებით გაატარა მაკორექტირებელი ზომები, მათ შორის, გვირაბის ლოკალიზებული დუღაბირება (2017), გვირაბის მოპირკეთება (2018-2020) და მთლიანობის მონიტორინგი (2020 წლიდან დღემდე).

26. გეოგრაფიულად, ჩირუხისწყალი-სხალთას გვირაბი აშენდა მდინარის მოპირდაპირე მხარეს, სოფელ მახალაკიძეების ოჯახების უმეტესობისგან მოშორებით. შესაბამისად, სოფლის ძირითადი ნაწილი სხვა აუზში მდებარეობს და ამ გეოგრაფიული განცალკევების გამო გვირაბის მშენებლობა ამ რაიონში მიწისქვეშა წყლებზე გავლენას არ მოახდენდა. რაბათის 22 ოჯახი, რომლებიც მახალაკიძეების ნაწილად ითვლება, მდინარის იმავე მხარეს მდებარეობს, სადაც გვირაბია, რაც მათ იმავე აუზში განათავსებს. თუ გვირაბის მშენებლობას მიწისქვეშა წყლებზე რაიმე დროებითი გავლენა ექნებოდა, ერთადერთი ოჯახები, რომლებიც პოტენციურად დაზარალდებოდნენ, რაბათის ოჯახები იქნებოდნენ.

27. თუმცა, მიწისქვეშა წყლებზე ჩირუხისწყალი-სხალთას გვირაბის მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედების მტკიცებულება არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მახალაკიძეებთან ყველაზე ახლოს მდებარე ჩირუხისწყალი-სხალთას გვირაბი არ ჩამოინგრა, დანარჩენი ორი გვირაბის მონაკვეთის ჩამონგრევამ ყველა გვირაბში კორექტირების ზომების მიღება გამოიწვია, მათ შორის 2018-2020 წლებში მოპირკეთების განხორციელება. კრედიტორთა ჯგუფის დაკვეთით 2020 წელს მომზადებულმა დამოუკიდებელმა შეფასებამ ვერ გამოავლინა კავშირი გვირაბის გაყვანის სამუშაოებსა და წყაროს წყლის პრობლემებს შორის, რომლებსაც მომჩივანები ასახელებდნენ.

28. 2015-2016 წლებში, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ პროაქტიურად და ნებაყოფლობით დაიწყო და განახორციელა წყალმომარაგების პროექტი სოფელ მახალაკიძეებში (პროექტი ფარავდა რაბათის 22 ოჯახს) შუახევის მუნიციპალიტეტთან ერთად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროგრამის ფარგლებში. შედეგად შემუშავდა ინფრასტრუქტურული პროექტი მუნიციპალიტეტის მიერ და ერთობლივად დაფინანსდა მუნიციპალიტეტის და „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ, ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. მემორანდუმის მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ მიმდინარე მოვლა-პატრონობა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა იქნებოდა წყალშემკრები ავზების და მილსადენების დამონტაჟდების შემდეგ.

29. მშენებლობის პერიოდში, 2014 წლიდან 2016 წლამდე, “აჭარისწყალი ჯორჯიას” მიერ შექმნილმა 600 წყაროს საზოგადოებრივი მონიტორინგის პროგრამამ მხოლოდ სეზონური ცვალებადობა გამოავლინა, რომლებიც პროექტთან არ იყო დაკავშირებული. შესაბამისად, 2016 წლის დეკემბერში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მიიღო „აჭარისწყალი ჯორჯიას“ წინადადება წყაროს წყლის მონიტორინგის დასრულების შესახებ.

30. იმავე პერიოდში, IFC ახორციელებდა ზედამხედველობას წყლის რესურსებზე პოტენციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშში შეტანილი საჩივრების განხილვის გზით. 2017 წლიდან „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ადგილობრივი მოსახლეობისგან წყალთან დაკავშირებული არცერთი საჩივარი არ მიუღია.

31. ამჟამად წყალმომარაგების სისტემა ფუნქციონირებს მახალაკიძეებში, მათ შორის რაბათის უბანში. 2025 წლის მაისში IFC-ის ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა მახალაკიძეებისთვის (მათ შორის რაბათისთვის) წყალმომარაგების საკმარისი რაოდენობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ „აჭარისწყალი ჯორჯიას“ და მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელს დანერგილი წყალმომარაგების სისტემა კვლავ ფუნქციონირებს. წყლის ავზები სავსეა და ოჯახები მუდმივად იღებენ გამდინარე წყალს; წყლის მიწოდების ჩამკეტი ონკანის გარეშეც კი, წყლის მიწოდება არ მცირდება. ავზებში წყალი გროვდება გვირაბის სამშენებლო ტერიტორიისგან განსხვავებული წყალშემკრები აუზის წყაროებიდან, და ვიზუალურად სუფთაა. IFC-ის თანამშრომლებმა ავზები მოინახულეს თემის წარმომადგენელთან ერთად, რომელთანაც მუნიციპალიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ავზების მოვლა-პატრონობის მიზნით.

32. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი წყალმომარაგება უხვია, მუნიციპალიტეტმა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უფრო ფართო გეგმის ფარგლებში, რომელიც ასევე წყლის გამწმენდ სისტემებს მოიცავს, ექსპლუატაციაში გაუშვა მუდმივი წყალმომარაგების სისტემა. შერჩეულია კონტრაქტორი და მუნიციპალიტეტმა მახალაკიძეებისთვის, მათ შორის რაბათის უბნისთვის, დასრულების თარიღად 2025 წლის სექტემბერი განსაზღვრა.

ბიომრავალფეროვნება

კომპლექსური შემოწმება

CAO-მ ბიომრავალფეროვნების საბაზისო მდგომარეობის, ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე პროექტის ზემოქმედების შეფასებისა და პროექტის შერბილების ღონისძიებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ:

- *თევზის სახეობებთან დაკავშირებით ჩატარებული საბაზისო მდგომარეობის კვლევას ჰქონდა ხარვეზები, რაც გამოწვეული იყო: ა) პროექტის დიზაინისა და გავლენის არეალის ცვლილებით, ბ) ჩატარებული კვლევების სიხშირით, გ) წლიური სინჯების აღების შეზღუდვებით და დ) მოწყვლადი და გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისადმი ყურადღების მიქცევით. ამან გამოიწვია ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ტიპისა და მასშტაბის შესაბამისი საბაზისო ინფორმაციის ნაკლებობა, ბიომრავალფეროვნებით და ენდემური სახეობებით ცნობილ ტერიტორიაზე.*
- *IFC-ის გარემოსდაცვითმა და სოციალურმა კომპლექსურმა შემოწმებამ არ გამოავლინა ხარვეზები პროექტის ESIA-სა და BAP-ში შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით და აღნიშნა ეკოლოგიური ნაკადის წლიური საშუალო მნიშვნელობა 10%-ის ოდენობით, ტერიტორიის ბიოლოგიური მნიშვნელობის, ფაუნისა და ფლორის გადაშენების პირას მყოფი და მოწყვლადი სახეობების არსებობის და მათი პოპულაციების მიმართ არსებული ზეწოლის მიუხედავად. პროექტი ძირითადად ეყრდნობოდა მდინარის ნაპირებიდან გადმოსვლის და შენაკადების დახმარებას წყლის ჰაბიტატზე ზემოქმედების მინიმიზაციისთვის, და დეტალურად არ გაუანალიზებია, თუ რომელ სახეობებზე იმოქმედებდა წყლის ნაკადის 90%-ით შემცირება, ტერიტორიაზე დაცული სახეობების გამოვლენის მიუხედავად.*

მთლიანობაში ბიომრავალფეროვნების საბაზისო მაჩვენებლის ნაკლოვანებები, შესაბამისი ეკოლოგიური ნაკადის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების არასაკმარისი ანალიზი წმინდა დანაკარგის არარსებობის მისაღწევად და პროექტის მდებარეობის ბუნებრივ ან კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ბუნებრივ ჰაბიტატში გაუთვალისწინებლობა, მიუთითებს IFC-ის მიერ ინვესტირებამდე განხორციელებული გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური შემოწმების მნიშვნელოვან ნაკლოვანებაზე. შედეგად, შესაბამისობის მრჩევლის ომბუდსმენის ოფისმა დასკვნა, რომ IFC-ის გარემოსდაცვითმა და სოციალურმა კომპლექსურმა შეფასებამ სათანადოდ არ უზრუნველყო კლიენტის მიერ ბიომრავალფეროვნებაზე პოტენციური ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეფასება PS 1 (პუნქტი 7) და PS 6 (პუნქტები 6, 7 და 15) სტანდარტების შესაბამისად, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების დონის თანაზომიერად, წმინდა დანაკარგის არარსებობის მისაღწევად, შემოთავაზებული პროექტის ბუნებისა და მასშტაბის და მდგრადობის პოლიტიკის (პუნქტები 7, 26 და 28) თანახმად.

ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემები

33. IFC თევზის ნიმუშების აღებას საკმარისად მიიჩნევს, რადგან საბაზისო მონაცემები მოიცავდა გავლენის საწყის არეალს (სამი სქემა), მათ შორის საბოლოო გავლენის არეალს (ბოლოს ერთ სქემამდე შემცირდა). პროექტის არეალისთვის, მშენებლობის დაწყებამდე ნიმუშების აღება რამდენიმე წლის (2011-2014) და სეზონის განმავლობაში განხორციელდა, რაც მოიცავდა როგორც საბაზისო, ასევე მშენებლობამდე მონიტორინგს. ეს მიდგომა მიზანშეწონილად ჩაითვალა პროექტის განხორციელებამდე ზოგადი გავრცელებისა და სიმრავლის დასაფიქსირებლად. 2016 წელს, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ მესამე მხარეს დაუკვეთა ეკოლოგიური საბაზისო ანალიზის განხორციელება, კრედიტორის მოთხოვნებთან, მათ შორის, IFC-ს PS6 სტანდარტთან და EBRD-ის მე-6 სამოქმედო სტანდარტთან (PR6) შესაბამისობის გასარკვევად. შეფასების განმახორციელებელმა საერთაშორისო კონსულტანტმა დაადასტურა, რომ თევზის სახეობების საბაზისო ნიმუშების ანალიზი შემუშავდა PS6 სტანდარტის თანახმად[11].

34. CAO-ს ანგარიშში გამოთქმულია შეშფოთება, რომ გადაშენების პირას და გადაშენების უკიდურესი საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებთან, მათ შორის შავი ზღვის ორაგულთან და ევროპულ გველთევზასთან დაკავშირებული რისკები სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული პროექტის შეფასებისა და ზედამხედველობის ფაზებში. თუმცა, პროექტის საბოლოო გავლენის არეალში არცერთი ეს სახეობა დადებითად არ დაფიქსირებულა. შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax pallas*) და ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*) მხოლოდ ხერთვისის სქემაში აღმოჩნდა და გარკვეული ინფორმაციით კორომხეთის სქემაში. ორივე საბოლოო გავლენის არეალს გარეთ იყო. ESIA -ს კონსულტანტმა, შავი ზღვის მონიტორინგის სააგენტოს ადგილობრივ თევზჭერის დამოუკიდებელ ექსპერტებთან კონსულტაციით დაასკვნა, რომ ორივე სახეობა მხოლოდ ქვედა წელში (მდინარეები ჭოროხი და მაჭახელისწყალი) გვხვდება. პროექტის საბოლოო გავლენის არეალში მათი არსებობის არანაირი მტკიცებულება არ მოიძებნა.

[11] 2016 წელს აღიარებულ საერთაშორისო კონსულტანტს დაუკვეთეს ეკოლოგიური საბაზისო შეფასების ჩატარება, იმისათვის რომ გაერკვია შეესაბამებოდა თუ არა პროექტი კრედიტორის მოთხოვნებს, მათ შორის IFC-ის PS6 სტანდარტს და EBRD-ის PR6 მოთხოვნას. ანალიზმა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია, აჩვენა, რომ „მონაცემები საკმარისად საფუძვლიანია იმ სახეობების (კერძოდ, თევზის სახეობების) შესასწავლად, რომლებიც წარმოდგენილია პროექტის გავლენის ქვეშ მყოფ უბნებზე და ძირითად შენაკადებში. ის ასევე საკმარისად იქნა მიჩნეული მგრძნობიარე ჰაბიტატების, მაგ. ქვირითობის მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. მთლიანობაში მონაცემები საკმარისად იქნა მიჩნეული პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი ყველა მდინარის სისტემის მონაკვეთების მასშტაბით ზემოქმედების შეფასების გასამყარებლად“. შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი - საბაზისო ეკოლოგიური ანგარიში (2016).

35. შავი ზღვის ორაგულს არ აქვს შეზღუდული არეალი, როგორც ეს PS6 სტანდარტით არის განსაზღვრული. სახეობა მხოლოდ 2013 წელს დაფიქსირდა მდინარე აჭარისწყლის ქვედა წელში და მდინარე აკავრეთაში, პროექტის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ESIA-ს განხორციელებისას მეთევზეებისგან შეგროვებული მონაცემები ასევე არ მიუთითებდა, რომ სახეობა ფიგურირებდა თევზჭერისას, რაც პროექტიდან გამომდინარე შეზღუდულ რისკზე მიუთითებს.[12]

36. საბაზისო ნიმუშების აღების დროს, ევროპული გველთევზას არსებობა მდინარე აჭარისწყალში მხოლოდ ერთხელ იყო ნახსენები, კვლავ საბოლოო გავლენის ზონის მიღმა. ეს დადასტურდა ESIA-ს შემუშავების დროს მეთევზეებისგან შეგროვებული მონაცემებით, რადგან მათ არ მიუთითებიათ გველთევზა, როგორც მათ მიერ ერთ-ერთი დაჭერილი სახეობა.

37. შესაბამისად, შავი ზღვის ორაგული და ევროპული გველთევზა იშვიათ სახეობებად იქნა მიჩნეული ფართო აუზში და არ იყვნენ წარმოდგენილნი პროექტის არეალში. მიუხედავად ამისა, თუ ისინი არსებობენ, ეს სახეობები სარგებელს მიიღებენ სხვა სახეობის თევზების და წყლის ჰაბიტატების მიმართ გამოყენებული შემარბილებელი ღონისძიებებით. „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ შეიმუშავა მშენებლობის ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP), რომელიც ESIA-სთან ერთად მოიცავდა რისკებს მიგრირებად სახეობებთან და მათ თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით.

ეკოლოგიური ნაკადი

38. „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ 2017 წელს შექმნა დაბალი ნაკადის შერბილების სტრატეგია (LFMS), სამ მდინარეზე პოტენციურ ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის.[13] შერბილების ქმედებები მოიცავდა ეკოლოგიური ნაკადის მონიტორინგს, ნაკადის სეზონურ გაშვებას, მდინარის ჰიდრომორფოლოგიის ყოველწლიურ და გამორეცხვის შემდგომ შეფასებას, ჩირუხისწყლის კაშხალთან თევზსავალი გზის მშენებლობას და დიდაჭარას და სხალთას კაშხლებზე თევზის ხელახლა შევსებას. სტრატეგია მიზნად ისახავდა ბიომრავალფეროვნების კარგვის პრევენციას კვლევებით იდენტიფიცირებული სახეობების გათვალისწინებით.

39. კრედიტორთა ჯგუფმა, IFC-ის ჩათვლით, მიიღო „აჭარისწყალი ჯორჯიას“ წინადადება ორფაზიანი მიდგომის შესახებ, შემცირებული ეკოლოგიური ნაკადის საპასუხოდ. პირველ ფაზაში გაიცა გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც 10 პროცენტიან ეკოლოგიურ ნაკადს უშვებდა, რაც შეესაბამება იმ დროს საქართველოში

[12] პროექტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კვლევებში ასევე არსებობს ტაქსონომიური დაბნეულობის შესაძლებლობა, კერძოდ ყავისფერი კალმახის *(S. tuttra)* ანადრომული სახეობის მიჩნევა შავი ზღვის ორაგულად. .

[13] სამი მდინარეა აჭარისწყალი, სხალთა და ჩირუხისწყალი.

ჰესების სქემებისთვის გავრცელებულ პრაქტიკას. ქვედა დინებაში პოტენციური ზემოქმედების შესაფასებლად, პროექტის ESIA-ს დაემატა კვლევების სერია.[14] მეორე ფაზის კვლევები[15] ეხებოდა ESAP-ის მე-16 ღონისძიებას (BAP-ის განხორციელება) "ნაკადების ადეკვატურობის შემოწმება ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად ან მინიმალური ნაკადის ხელახლა განსასაზღვრად". თუმცა, კვლევის პერიოდში (2012-2016) ბუნებრივი ნაკადის პირობები წლიური საშუალოს 19 პროცენტზე ქვემოთ არ ჩამოსულა, ამიტომ დასაშვები ნაკადის მდგომარეობა შემდგომში არ შეფასებულა (BAP 2016). შესაბამისად, „აჭარისწყალი ჯორჯიამ" შეიმუშავა LFMS, რომელიც პროექტს ავალდებულებდა გამორეცხვის შემდგომი და ყოველწლიური ჰიდრომორფოლოგიური შეფასებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავდა თევზის მობილობის მინიმალური პირობების შენარჩუნებას.

40. IFC მიიჩნევს, რომ მიგრირებად სახეობებთან და მათ გადაადგილებასთან და ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული საერთო რისკები საკმარისად იყო გათვალისწინებული ESIA-სა და BAP-ში. თუ მონიტორინგის დროს გამოვლინდება დამატებითი რისკები, ისინი გათვალისწინებული იქნება საწყის BAP-სა და შემდგომ ოპერატიულ BAP-ში (O-BAP), რომელიც ცოცხალ დოკუმენტს წარმოადგენს.

[14] 2012-2016 წლებში ჩატარებული დამატებითი კვლევები მოიცავდა მეზოჰაბიტატის რუკების შედგენას, ნაკადის გაზომვას, თევზის სახეობების და მაკროუხერხემლოების კვლევებს. კვლევის ჯგუფი შედგებოდა Mott MacDonald-ის ეკოლოგისა და ჰიდროლოგისგან, სამი ადგილობრივი იხთიოლოგისგან (შავი ზღვის მონიტორინგის სააგენტოს მიერ მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტები) და ადგილობრივი ჰიდროლოგიის ტექნიკოსებისგან („გროს ენერჯიდან"), ასევე ნორვეგიაში დაფუძნებული განახლებადი ენერგიის გარემოსდაცვითი დაპროექტების ცენტრის ექსპერტისგან 2012 წლის კვლევებისთვის.

[15] მეზოჰაბიტატის რუკების შესადგენად ნორვეგიული მეზოჰაბიტატების კვლევის მეთოდი (NMSM) იყენებდა მონაცემებს მდინარის ჰაბიტატის კლასიფიკაციისთვის ისეთი პარამეტრებით, როგორებიცაა ზედაპირული ნაკადი, გრადიენტი, სიჩქარე და სიღრმე.

ზედამხედველობა

IFC-ის მიერ ბიომრავალფეროვნებასა და ეკოლოგიურ ნაკადზე პროექტის ზემოქმედების ზედამხედველობის თვალსაზრისით, CAO-მ მიიჩნია, რომ:

- *მონიტორინგის ანგარიშში იდენტიფიცირებული წყლის ჰაბიტატების დაკარგვა კლასიფიცირებულია დაბალი მნიშვნელობის მქონედ, აღნიშნული დასკვნის დასადასტურებლად ანალიზის განხორციელების გარეშე. თუმცა, ამ ჰაბიტატების დაკარგვა მიუთითებს ბიომრავალფეროვნების პოტენციურ წმინდა დანაკარგზე, კაშხლების ქვედა წელში მსგავსი ჰაბიტატების არსებობის მიუხედავად. არ არსებობს მტკიცებულება, რომ მდინარის ჰაბიტატებზე ეს გამოვლენილი ზემოქმედება სათანადოდ შერბილდა ან კომპენსირებულ იქნა PS6 სტანდარტის შესაბამისად.*
- *CAO-სთვის ხელმისაწვდომი მონაცემებიდან და 2020 წელს ჩატარებული ტენდენციების ანალიზიდან გამომდინარე, პროექტის მშენებლობის დროს თევზის სახეობების მრავალფეროვნების შემცირება გამოვლინდა. გარდა ამისა, ამ სახეობების სიმრავლის შესახებ მონაცემები არ შეგროვებულა.*
- *თევზჭერაზე ზემოქმედების შესამცირებლად შემარბილებელი და კომპენსაციის ზომები მოიცავდა ჩირუხისწყლის კაშხალში თევზის გასასვლელის დამატებას და ადგილობრივი თევზების ხელახლა გამრავლებას, რაც განხორციელდა. თევზსავალი ინტეგრირებულია და ეფექტურობის მონიტორინგი განხორციელდა, ხოლო შავი ზღვის კალმახის/ყავისფერი კალმახის შევსების ღონისძიებები 2021 წლიდან მიმდინარეობს. თუმცა, ჩირუხისწყლის კაშხლის ქვემოთ თევზის სახეობების მრავალფეროვნებისა და სიმრავლის შემცირებამ 2014-2020 წლებში ასევე უარყოფითად იმოქმედა ამ ტერიტორიაზე რეკრეაციულ თევზჭერაზე. გარდა ამისა, დღემდე, CAO არ არის დარწმუნებული რესურსების აღდგენის ძალისხმევის წარმატებაში წლიური საშუალო 10%-იანი ეკოლოგიური ნაკადის პირობებში.*
- *ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თევზის სახეობების შევსება შემოიფარგლა Salmo labrax fario-თი და არ გავრცელებულა კალმახის გარდა სხვა სახეობებზე, როგორც თავდაპირველად იყო რეკომენდებული პროექტის კონსულტანტების მიერ. გარდა ამისა, ამ ქმედებამ, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა წყლის ჰაბიტატის ეკოლოგიურ წონასწორობაზე. არ ყოფილა წარმოდგენილი ანალიზი ერთი სახეობის (Salmo larax f.) დიდი რაოდენობით შემოტანის პოტენციური ზემოქმედების შესახებ წყლის სხვა სახეობებზე, რომლებთანაც ისინი რესურსებისთვის კონკურენციაში მივიდოდნენ 90%-ით შემცირებულ ჰაბიტატში.*
- *საგაზისო დონის შეზღუდული მასშტაბი (ძალიან მცირე რაოდენობის ნიმუშების აღების ადგილები და მონიტორინგის არასაკმარისი სიხშირე) თევზის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემდგომ ცვლილებებთან ერთად (ნიმუშის აღების ადგილების შეცვლა და ყოველწლიურიდან კვარტალურ მონიტორინგზე გადასვლა) წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზს, რომელიც ხელს უშლის პროექტის წყალზე ზემოქმედების ზუსტ შეფასებას.*
- *მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან 2019 წლამდე IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშებში მუდმივად აღნიშნულია ხარვეზები კლიენტის მიერ ბიომრავალფეროვნების შესახებ მოწოდებულ ანგარიშგებაში, IFC-მ ვერ უზრუნველყო დროული შესაბამისობა პროექტის მშენებლობის განმავლობაში. კლიენტი მუდმივად უგულებელყოფდა არსებულ ხარვეზებზე რეაგირებას და არ აჩვენებდა პროექტის ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნების საგაზისო მდგომარეობაზე ან თუ როგორ წარმოებდა ადაპტაციური მართვის განხორციელება.*
- *პროექტის ეკოლოგიური ნაკადის მეთოდოლოგია შემუშავდა მდინარის სისტემის ჰიდროლოგიური პირობებისა და ეკოლოგიური მოთხოვნების განსასაზღვრად და პროექტის მდინარის სახეობებსა და ჰაბიტატებზე ზემოქმედების გასათვალისწინებლად და შესამცირებლად. თუმცა, CAO აღნიშნავს, რომ განხორციელების პროცესში ეს არ იყო დემონსტრირებული, რადგან მდინარის გარკვეულ მონაკვეთებში არსებული ქვირითობის ჰაბიტატები დაკარგულად ან განადგურებულად იქნა მიჩნეული პროექტის ზემოქმედების გამო ქვირითობის ადგილებზე, წყალსაცავის ტერიტორიის დატბორვის გამო ქვირითობის ჰაბიტატის დაკარგვასთან ერთად. კაშხლებმა შეცვალა მდინარის წონასწორობა და ახალი წონასწორობა ჰაბიტატების ხელმისაწვდომობის შემცირებით იქნება მიღწეული, ქვირითობის ჰაბიტატის ჩათვლით. წყლის ჰაბიტატებსა და სახეობებზე ზემოქმედების მასშტაბი პოტენციურად შეიძლება შემცირდეს სხვადასხვა ხარისხით, სხვადასხვა სცენარის საფუძველზე, რომლებიც ზრდის ეკოლოგიურ ნაკადს 20-30-40%-მდე, DRIFT მეთოდოლოგიის მიხედვით. თუმცა, ეკოლოგიური ნაკადის რაიმე შემოთავაზებული კორექტირების არარსებობის პირობებში, PS6 სტანდარტი მოითხოვს კომპენსაციას ამ ნარჩენი ზემოქმედებისთვის.*

CAO-მ ვერ გამოავლინა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ეკოლოგიური ნაკადის ანალიზი ჩატარდა ბუნებრივი ჰაბიტატის საჭიროებების კონკრეტული მითითებით, წმინდა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, არ არსებობს ინფორმაცია იმის დასადგენად, საკმარისია თუ არა ეკოლოგიური ნაკადები პროექტის ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის, მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ისეთ ენდემურ სახეობებზე ზემოქმედების შესამცირებლად, როგორებიცაა შავი ზღვის ორაგული (Salmo labrax pallas), ევროპული გველთევზა (Anguilla anguilla), კოლხური ხრამული, კოლხური ტობი, კავკასიური ღორჯო და ევრაზიული წავი (Lutra lutra) PS6 სტანდარტის შესაბამისად. ამგვარად, CAO მიიჩნევს, რომ IFC-მ ვერ შეასრულა მდგრადი განვითარების პოლიტიკით (პუნქტები 7 და 45) გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც გულისხმობდა კლიენტზე ზედამხედველობას შესაბამისი შემარბილებელი ან საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, PS6 სტანდარტის მიხედვით წმინდა ზარალის თავიდან ასაცილებლად (პუნქტი 15). IFC-მ ვერ უზრუნველყო, რომ პროექტს თავიდან აეცილებინა წმინდა ზარალი PS6 სტანდარტის თანახმად, განსაკუთრებით ენდემურ, გადაშენების პირას მყოფ და დაუცველ სახეობებთან დაკავშირებით, როგორებიცაა შავი ზღვის ორაგული, ევროპული გველთევზა და ევრაზიული წავი.

41. 2014 წლის მშენებლობის პერიოდიდან დღემდე, „აჭარისწყალი ჯორჯია“ პროექტის ტერიტორიაზე თევზის სახეობების ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებს. 2013 წელს მონიტორინგი ყოველთვიურად წარმოებდა, ხოლო 2014 წლიდან მოყოლებული წელიწადში ოთხჯერ (ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე). ყოველწლიური ნიმუშების აღება მოიცავდა აჭარისწყლის აუზს, პროექტის გავლენის არეალს, და საკონტროლო ადგილებს რაიონებში, რომლებიც არ მიეკუთვნება პროექტის ზემოქმედების ტერიტორიას. აქ იგულისხმება 21 ლოკაცია 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით და 15 ლოკაცია 2014 წლიდან, მშენებლობის პერიოდში და ამჟამად ექსპლუატაციის ფაზაში. ეს მიდგომა პროექტში ჩართულმა ყველა სპეციალისტმა მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის განხორციელებამდე ზოგადი გავრცელებისა და სიმრავლის ნიმუშების აღსაწერად.

42. მდინარე ჩირუხისწყალში ექსპლუატაციის ფაზის განმავლობაში მონიტორინგის მონაცემები მიუთითებს თევზის პოპულაციის მნიშვნელოვან აღდგენაზე, რაც ადასტურებს პროგრესს წმინდა დანაკარგის არარსებობისკენ. მშენებლობის პერიოდში (2014-2019) თევზის პოპულაციის დროებითი შემცირება შექცევადი გახდა და ექსპლუატაციის ფაზაში (2020-2025) აღდგა.[16] ეს შედეგები მიუთითებს, რომ ეკოლოგიური დინების ამჟამინდელი დონეები საკმარისია მდინარე ჩირუხისწყლის გავლით თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.[17] სახეობების სიმრავლე და სიმდიდრე აღდგენილია, რაც ექსპლუატაციის დროს ეკოლოგიური დინების საკმარისობაზე მიუთითებს (იხილეთ სურათები II და III).

სურათი II. თევზის სიმრავლე სახეობების მიხედვით მდინარე ჭირუხისწყალის ზედა დინებაში და ქვედა წელში [18]



[16] 2022 წლის გრაფიკზე გამოსახული პიკი ითვლება ამოვარდნად, ანუ მონაცემთა წერტილად, რომელიც მნიშვნელოვნად გადახრილია მოსალოდნელი მნიშვნელობებისგან ან ზოგადი ტენდენციისგან. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის უჩვეულო გარემო პირობებით ან თევზის ქცევის ცვლილებით. საერთაშორისო კონსულტანტების, მათ შორის ექსპერტი იხთიოლოგების მიერ დადასტურებული საერთო ტენდენცია არის ის, რომ მშენებლობის წლების შემდეგ თევზის პოპულაციების აღდგენას ჰქონდა ადგილი.

[17] ვინაიდან ყველა ორაგულისებრი (მტკნარი წყლის თუ სხვა) ჰაბიტატთან დაკავშირებით მსგავსი მოთხოვნებით გამოირჩევა, ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ შავი ზღვის ორაგულს *(S.labrax pallas)* ასევე შეუძლია მიგრირება ჩირუხისწყლის კაშხალში იმ შემთხვევაში, თუ ის ამ მდინარეში იქნება წარმოდგენილი..

[18] როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიომრავალფეროვნების საბაზისო ნიშნულთან დაკავშირებით, კვლევებში არსებობს ტაქსონომიური დაბნეულობის პოტენციალი, რადგან შესაძლებელია, რომ ყავისფერი კალმახის (S. tuttra) ანადრომული სახეობა შავი ზღვის ორაგულად იქნეს აღქმული

სურათი IIII. უნიკალური სახეობების მთლიანი რაოდენობა, რომლებიც გამოვლინდა ყველა კვლევაში და ყველა ლოკაციაზე წლის განმავლობაში



43. „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ დანერგა შერბილების ღონისძიებები, რომლებიც შეტანილი იყო LFMS-სა და O-BAP-ის განახლებულ დოკუმენტებში. ჩირუხისწყლის კაშხალზე დამონტაჟებული თევზსავალი ფუნქციონირებს. გარდა ამისა, კაშხლების ქვემოთ თევზის სიკვდილიანობის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, LFMS ასევე მოიცავდა ამ კაშხლებიდან მდინარის ზედა წელში ყავისფერი კალმახის (*S. tutta*) ხელახლა მოშენებას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა წელიწადში 10,000 ინდივიდის ხელახლა მოშენებას. შესაბამისობისა და ზიანის პოტენციალის მინიმიზაციის მიზნით, ადგილობრივი კალმახის სახეობები შეძენილ იქნა სამინისტროს მიერ ლიცენზირებული თევზის ფერმიდან. უახლესი შევსება 2025 წლის მარტში განხორციელდა, დასრულდა სხალთას კაშხლისა და ჩირუხისწყლის კაშხლის ზემოთ ხელახალი მოშენების ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოები.

44. IFC მიიჩნევს, რომ „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ სხვადასხვა სახეობის კვლევის მეთოდები შესაფერისი იყო. ათწლიანი მონიტორინგის პროგრამას საერთაშორისო კონსულტანტები და ქართველი იხთიოლოგები უწევდნენ ზედამხედველობას. კონკრეტულ სახეობებს რაც შეეხება, შავი ზღვის ორაგული კვლევების დროს არასდროს გამოვლენილა, რაც კომპლექსური შემოწმების შედეგებს ადასტურებს. კოლხური ხრამული *(Capoeta sieboldii)* და კოლხური ტობი (Chondrostoma colchicum) 2014-2020 წლებში ჩატარებულ კვლევებში არ აღმოჩნდა, რაც გასაგები მიზეზების გამო CAO-ს ბიომრავალფეროვნების დაკარგვის შესახებ ვარაუდის საფუძველს აძლევს; თუმცა, 2021-2024 წლების კვლევებმა მათი ხელახლა გამოჩენა და სიმრავლის ზრდა აჩვენა. კავკასიური ღორჯო (*Ponticola constructor*), მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სამშენებლო კვლევაში არ იყო, ექსპლუატაციის წლებში გამოჩნდა. ევრაზიული წავი ამ ტერიტორიაზე მუდმივად იყო წარმოდგენილი, კვლევებით დადასტურებულია, რომ მისი პოპულაცია სტაბილურია. ევროპულ გველთევზასთან დაკავშირებით,

დაკვირვების ყველაზე გავრცელებული მეთოდი ელექტრო თევზჭერაა, რომელიც ამჟამად საქართველოში აკრძალულია, ამიტომ ალტერნატიულ მეთოდოლოგიად, კვლევებისთვის გამოყენებულ იქნა დაახლოებით 10 მმ ზომის ბადე (20-25 სროლა თითო კვლევაზე) (საკმარისი რაოდენობის სახეობის დასაჭერად). ჩატარებული 400-ზე მეტი კვლევის შედეგად (ბადის სულ 8,000-10,000 სროლა), პროექტის ტერიტორიაზე ამ სახეობის არსებობის არანაირი მტკიცებულება არ იქნა მოპოვებული.[19]

45. IFC დადებითად აფასებს CAO-ს დასკვნას, რომ IFC-ის გარემოსდაცვითმა და სოციალურმა კომპლექსურმა შემოწმებამ (ESDD) ადეკვატურად განსაზღვრა რეკრეაციული თევზჭერა, როგორც ეკოსისტემური სერვისი და შემოგვთავაზა შერბილების და კომპენსაციის ზომები PS6 სტანდარტის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ESIA-ში შემოთავაზებული იყო თევზის მარაგების აღდგენა და რეკრეაციული თევზჭერის ტერიტორიების შექმნა მშენებლობის ეტაპის ზემოქმედების შესამცირებლად, ESIA-ს ჰქონდა შეზღუდვები რეკრეაციული თევზჭერის საბაზისო მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით. IFC ეთანხმება მოსაზრებას, რომ მშენებლობის დროს ზემოქმედების შესაფასებლად რეკრეაციული თევზჭერის მონიტორინგში არსებობდა ხარვეზები. მართალია რეკრეაციული თევზჭერის პარამეტრები, როგორიცაა დაჭერის სიჩქარე და ძალისხმევა არ იზომებოდა, მაგრამ წარმოებდა ბიომასის (თევზის საერთო წონა) კონტროლი; ეს ცვლადი თევზის პოპულაციის ჯანმრთელობის მაჩვენებელია. ბიომასის მონიტორინგი ასევე აჩვენებს ზრდის ტენდენციას, რაც შეესაბამება თევზის პოპულაციის აღდგენაზე მიმანიშნებელ სხვა მაჩვენებლებს.

46. ანალოგიურად, ESIA, მშენებლობის BAP-ი, O-BAP-ი და LFMS-ი განიხილავდა შემცირებული ნაკადის ზემოქმედებას სანაპირო ხეებზე. თუმცა, IFC აღიარებს, რომ სანაპირო ეკოსისტემების მონიტორინგი არ იყო დაგეგმილი; ეს შეიძლებოდა შეტანილი ყოფილიყო LFMS-ში წინასწარ განხილულ ჰიდრომორფოლოგიურ მონიტორინგში. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალიზებული მონიტორინგის პროგრამის ნაწილი არ ყოფილა, IESC-მ 2024 წლის ნოემბერში მახალაკიძეების მახლობლად აწარმოა მდინარეზე დაკვირვება და აღნიშნა ორივე ნაპირზე ხეების ჭარბი რაოდენობა, დანაკარგის ან ხეების მდგომარეობის გაუარესების ხილული ნიშნების გარეშე.

47. „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ დაიქირავა საერთაშორისო აღიარების მქონე საკონსულტაციო ჯგუფი, BAP-ის მშენებლობის ფაზიდან ბიომრავალფეროვნების ოპერაციულ სამოქმედო გეგმად (O-BAP) გარდასაქმნელად და შერბილების ღონისძიებების საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად კრედიტორთა ჯგუფის გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ESIA-ს მომზადების შემდეგ O-BAP-მა გააერთიანა შემდგომი შეფასება და ანალიზი. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს ამჟამად საერთაშორისო კონსულტანტები უწევენ ზედამხედველობას, რომლებიც ადგილობრივ და რეგიონულ

[19] ბოლო 25 წლის განმავლობაში მდინარე აჭარისწყალში გველთევზის დაჭერის მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ორივე შემთხვევა შუახევჰესიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდინარის ქვედა წელში, სოფელ წონიარისის მახლობლად გამოვლინდა.

სპეციალისტებთან ერთად ადგილზე მუშაობენ.[20]

ეკოლოგიური ნაკადი

48. კაშხლის ექსპლუატაციაში გაშვების ფაზაში (2019 წლის დეკემბერი), „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ დაიქირავა მდინარის გეომორფოლოგები, სამივე ქვედა დინებაზე დასაკვირვებლად მათ ბუნებრივ მდგომარეობაში, ეკოლოგიური ნაკადის ჩართვამდე. ისინი უნდა დაკვირვებოდნენ სამი მდინარის დინების ჰიდრავლიკური კავშირის შეფერხებებს. კონსულტანტებმა აწარმოეს ჰაბიტატის ევოლუციის მონიტორინგი საშუალო წლიური ნაკადის 30 პროცენტის, 20 პროცენტის და 10 პროცენტის დონეზე იმ პერიოდში, როდესაც დინების ეკოლოგიური ნაკადის პირობები იყო გათვალისწინებული. ნაკადის განხილული მაჩვენებლებიდან არცერთისთვის ჰიდროლოგიური კავშირის დარღვევა არ დაფიქსირებულა. ჰიდრომორფოლოგიური მონიტორინგი ჩატარდა შუალედურ წლებში და მონაცემები მიუთითებს, რომ ჰიდროლოგიური კავშირი შენარჩუნებული იყო პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

49. ეკოლოგიური ნაკადის მონიტორინგი თანმიმდევრულად ხორციელდება 2020 წლის იანვრიდან (იხ. სურათი IV). „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ დაიქირავა საკონსულტაციო ფირმა, ექვს თვეში ერთხელ ეკოლოგიური ნაკადის საკმარისობის (მათ შორის, კავშირისა და სიღრმის) მონიტორინგის მიზნით. ნალექის გამორეცხვის, თევზსავალის ეფექტურობისა და წყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი მიუთითებს, რომ ეკოლოგიური ნაკადი საკმარისია. ექსპლუატაციის პერიოდში ნაკადის მინიმალური დონე შენარჩუნებული ან ოდნავ გადაჭარბებული იყო.

სურათი IV. ეკოლოგიური ნაკადი ჩირუხისწყლის კაშხლიდან, 2020-2024

[20] ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში ბაზირებული Environmental Resources Management (ERM) მდგრადი განვითარების მიმართულებით მომუშავე მსოფლიოში უდიდესი საკონსულტაციო კომპანიაა. ჰიდრომორფოლოგიურ, თევზსავალის და ნალექის გამორეცხვის მონიტორინგის სფეროში ჩართული Blue Rivers Environmental Consultants (BREC) კი უკრაინაში მდებარეობს.



50. IFC ეთანხმება მტკიცებულების არარსებობის მოსაზრებას საბაზისო ნაკადში ძირითადი სახეობების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინების შესახებ; იმ დროს (2013 წელს), ეკოლოგიური ნაკადის განსაზღვრის ზოგადი პრაქტიკა ჯერ კიდევ ვითარდებოდა (IFC-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო ჰესებისთვის ეკოლოგიური ნაკადების შესახებ 2018 წლით თარიღდება). ეკოლოგიური ნაკადების განსაზღვრის იმ დროს შეთანხმებული მიდგომა ასახავდა საქართველოს სხვა ჰესებში მიღებულ მიდგომას. მიუხედავად ამისა, პროექტმა შეისწავლა ქვედა წელში დინების ცვლილებები 2012 წლიდან 2016 წლამდე, ჰაბიტატების რუკების შედგენის, ნაკადის გაზომვების, თევზის სახეობების კვლევის და მაკროუხერხემლოების კვლევების ჩათვლით. პროექტმა შეიმუშავა რეკომენდაცია შერბილების ღონისძიებების და ეკოლოგიური ნაკადის მონიტორინგის პროგრამის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ნაკადის გაშვების, მდინარის ჰიდრომორფოლოგიის და თევზსავალის მონიტორინგს ჩირუხისწყლის კაშხალზე. ყველა აღნიშნული ღონისძიება დანერგილია.

<u>IFC -ის პასუხი CAO-ს რეკომენდაციებზე</u>

51. IFC-მ ყურადღებით განიხილა CAO-ს პროექტის დონის რეკომენდაციები მიწისქვეშა წყლებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ და მჭიდროდ ითანამშრომლა „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ CAO-ს რეკომენდაციებზე თავისი პასუხის მოსამზადებლად. როგორც ქვევით არის აღწერილი, მომჩივანებმა უარი თქვეს IFC-სთან წყლის ან თევზის საკითხებზე თანამშრომლობაზე.

მიწისქვეშა წყლები

პროექტის ESIA-სა და ESMP-ში ასახული შერბილების ღონისძიებების შესაბამისად, რომელიც ალტერნატიული წყალმომარაგების უზრუნველყოფას ეხება, IFC-მ უნდა ითანამშრომლოს კლიენტთან, მუნიციპალიტეტის ძალისხმევის მხარდასაჭერად სოფელ მახალაკიძეებში და რაბათის უბანში საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით მოსახლეობის საარსებო და საყოფაცხოვრებო მოხმარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს დამატებითი ძალისხმევა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში. სისტემის გაუმჯობესების პროცესის პარალელურად, CAO-ს რეკომენდაციაა, რომ IFC-მ ითანამშრომლოს თავის კლიენტთან, მომჩივანებისთვის მიწოდებული მიმდინარე ალტერნატიული წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოს მისი ხარისხი და საკმარისი რაოდენობა საყოფაცხოვრებო მოხმარების საჭიროებების შესაბამისად. ეს აქტივობა კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც IFC-ის ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული PS1 სტანდარტის შესაბამისი პროექტის ზემოქმედების შერბილების ან კომპენსაციის ღონისძიება. ამ მიზნით, CAO -ს რეკომენდაციაა, რომ IFC-მ, ზედამხედველობის ძალისხმევის ფარგლებში, შეისწავლოს კლიენტის წყლით უზრუნველყოფის საქმიანობა, რომ გაარკვიოს აკმაყოფილებს თუ არა ის წყლის ხარისხის სტანდარტებს და საკმარისია თუ არა საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თუ პროექტის არეალის რეალობა ართულებს მომჩივანებისთვის საკმარისი და სუფთა წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, IFC-მ უნდა ითანამშრომლოს თავის კლიენტთან სხვა ალტერნატივების შესასწავლად, როგორიცაა განსახლების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

.

52. IFC-ის MAP-ში შემოთავაზებული ქმედებები პასუხობს ადგილზე ამჟამად არსებულ სიტუაციას და აჩვენებს IFC-ის და „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მზაობას, გააგრძელონ თანამშრომლობა, IFC-ის მოსაზრების მიუხედავად, რომ პროექტთან დაკავშირებით არ არსებობს სავარაუდო მატერიალური ზიანი, რომელიც CAO-ს პოლიტიკით განსაზღვრულ ზიანის ზღურბლს შეესაბამება.[21] კრედიტორთა ჯგუფის დაკვეთით 2020 წელს მომზადებულ დამოუკიდებელ ანგარიშში არ გამოვლინდა გვირაბის გაყვანით სამუშაოებსა და წყაროს წყლის პრობლემებს შორის კავშირი და რთულია დავასკვნათ, რომ პროექტმა გავლენა იქონია მშენებლობის დროს საზოგადოების წყალმომარაგებაზე. ასევე არ არსებობს არანაირი მინიშნება პროექტის საქმიანობის გამო საზოგადოების წყალმომარაგებაზე ნარჩენი ზემოქმედების შესახებ. მომჩივანები არ იყვნენ დაინტერესებულნი IFC-თან თანამშრომლობით წყალმომარაგების საკითხების შესახებ და IFC აღნიშნავს, რომ მიმდინარე და დაგეგმილი მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემები უკვე ითვალისწინებს CAO-ს რეკომენდაციების უმეტესობას.

53. გვირაბის მშენებლობით გამოწვეული ნებისმიერი ზემოქმედება მიწისქვეშა წყლებზე გავლენას მოახდენდა მხოლოდ პროექტის წყალშემკრები აუზის არეალში მდებარე რაბათის 22 ოჯახზე. პროექტს წყაროს წყლის ხარისხზე გავლენა არ მოუხდენია, რადგან გვირაბის სამუშაოებიდან გამომდინარე დაბინძურების წყაროები არ არსებობდა. გვირაბების დუღაბირება 2016-2017 წლებში განხორციელდა. 2019 წელს, თემის წარმომადგენლების მიერ CAO-სთვის საჩივრის შეტანიდან ერთი წლის შემდეგ, გვირაბები მოპირკეთდა მათი სტაბილურობის შესანარჩუნებლად და მიწისქვეშა

[21] "ნებისმიერი არსებითი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება ადამიანებზე ან გარემოზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამომდინარეობს პროექტიდან ან ქვეპროექტიდან. ზიანი შეიძლება იყოს რეალური ან გონივრულად სავარაუდო მომავალში.." CAO-ს პოლიტიკა, განმარტებითი ლექსიკონი. https://www.cao-ombudsman.org/sites/default/files/documents/CAO%20Policy/ifc-miga-independent-accountability-mechanism-cao-policy.pdf

წყლების გვირაბებში შემდგომი შეღწევის თავიდან ასაცილებლად, რაც სასმელ წყალზე რაიმე ზემოქმედებას ნაკლებად სავარაუდოს ხდის. „აჭარისწყალი ჯორჯია“ აგრძელებს გვირაბის მთლიანობის მონიტორინგს და გვირაბის მოვლა-პატრონობის პროცედურების შეფასებას, დადგენილ საერთაშორისო დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

54. ამჟამად, წყალმომარაგების სისტემა ფუნქციონირებს. მშენებლობის ფაზაში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ მუნიციპალიტეტთან ერთად ნებაყოფლობით განახორციელა წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის პროექტი. წყალმომარაგების ეს სისტემა კვლავ ფუნქციონირებს, მიმდინარე მოვლა-პატრონობა კი მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა. 2023 და 2025 წლებში ადგილზე ვიზიტების დროს IFC-ის მიერ ჩატარებული დაკვირვებებით დადასტურდა, რომ სისტემა საკმარის წყალს უზრუნველყოფს და 2017 წლიდან წყალთან დაკავშირებული არანაირი საჩივარი არ დაფიქსირებულა. IFC აღიარებს, რომ ამჟამინდელი სისტემა ისარგებლებს მუნიციპალიტეტის მხრიდან გაძლიერებული მოვლა-პატრონობის ღონისძიებებით, რომლის ოფიციალურ მოთხოვნასაც დათანხმდა „აჭარისწყალი ჯორჯია“ .

55. მუნიციპალიტეტმა განახორციელა მუდმივი წყალმომარაგების პროექტის დაკვეთა, რომლის მიზანია მახალაკიძეების სოფლისთვის, მათ შორის რაბათის ოჯახებისთვის, მიწოდებული წყლის რაოდენობის ზრდის, უწყვეტობისა და ხარისხის გაუმჯობესება[22] 2025 წლის სექტემბრისთვის. წყლის მოწოდება განხორციელდება წყაროს წყლის ახალი შემკრებიდან, რომელიც სოფლებიდან 6 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებს სეზონების განმავლობაში წყლის საკმარისი რაოდენობის საიმედო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. IFC-ის ინფორმაციით, წყალი გაივლის წინასწარ გაწმენდას ოჯახებისთვის გამოსადეგი სასმელი წყლის სტანდარტების მისაღწევად. წყალი განკუთვნილია საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, ხოლო მდინარის წყალი კვლავაც იქნება სარწყავი წყლის ძირითადი წყარო.

56. მუდმივი წყალმომარაგების პროექტის მშენებლობა და ექსპლუატაცია სრულად დაფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა წყალს უფასოდ მიიღებს. „აჭარისწყალი ჯორჯია“ მუნიციპალიტეტთან ითანამშრომლებს, სოფელ მახალაკიძეებისა და რაბათის უბნის ახალი წყალმომარაგების პროექტის მხარდასაჭერად საჭირო ზომების განსასაზღვრად. „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ცოდნა და გამოცდილება წყლის მართვის, ჰიდროლოგიისა და ინჟინერიის სფეროში შეიძლება ცოდნის ღირებული წყარო გახდეს წყალმომარაგების სისტემების დაპროექტების, დანერგვის და მოვლა-პატრონობის მიმართულებით.

57. IFC აღნიშნავს, რომ EBRD-ის MAP-ში მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებით

[22] მუნიციპალიტეტმა 2025 წლის აპრილში „აჭარისწყალ ჯორჯიას“ მიაწოდა წერილი, სადაც ნათქვამია, რომ „გორი-პაპოშვილის სასმელი წყლის პროექტის კონტრაქტი ორწლიანია. განმახორციელებელი კომპანიის ცნობით, მთავარი მილი შეკვეთილია და სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება, ხოლო კონტრაქტის თანახმად, მთავარი და სათავე სამუშაოები მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს“

შემდგომი ქმედებები არ არის შემოთავაზებული, თუმცა აღნიშნულია, რომ წყლის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების მონიტორინგი გაგრძელდება.[23] IFC ანალოგიურად მიიჩნევს, რომ შერბილების ღონისძიებების განხორციელება საჭირო არ არის, თუმცა აფასებს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მზაობას, გააგრძელოს ამ საკითხებზე მუშაობა და მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტის ძალისხმევას მოსახლეობისთვის საიმედო წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად.

58. IFC აღიარებს მომჩივანების სურვილს ადგილმონაცლეობასთან დაკავშირებით, ძირითადად ამ ტერიტორიაზე არსებული მეწყრული პროცესების რისკის გამო. თუმცა, PS სტანდარტების გადმოსახედიდან, ადგილმონაცვლეობა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედება უარყოფითად მოქმედებს ადგილობრივ თემებზე. ფუნქციონალური წყალმომარაგების უზრუნველყოფის, წყლის რაოდენობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად მუდმივი წყალმომარაგების სისტემის დასრულების შემდეგ, რომელიც რამდენიმე თვეშია მოსალოდნელი, და პროექტის მხრიდან სხვა დადასტურებული და მიმდინარე უარყოფითი ზემოქმედების არარსებობის პირობებში, IFC ადგილმონაცვლეობას არ მიიჩნევს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ პასუხისმგებლობად.

59. სოფელ მახალაკიძეების მცხოვრებლების მეწყრის რისკის გამო განსახლება საჯარო სექტორის ორგანოების პასუხისმგებლობაა და მიმდინარეობს „ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო გარემოში განთავსების“ აქტიური პროგრამა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „ეკომიგრანტი“ განისაზღვრება, როგორც სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული და შიდა განსახლებას დაქვემდებარებული პირი. 2024 წლის ნოემბრის მონაცემებით, რაბათის უბანში არსებული 22 ოჯახიდან 21 დარეგისტრირდა ეკომიგრანტების პროგრამაში, რომელიც შესაბამის ოჯახებს 50,000 ლარამდე (18,248 აშშ დოლარის ეკვივალენტი) დახმარებას სთავაზობს უსაფრთხო გარემოში ახალი საცხოვრებლის შესაძენად. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამაში მონაწილეობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

[23] მენეჯმენტის სამოქმედო სტანდარტი 7. EBRD MAP. https://www.ebrd.com/content/dam/ebrd_dxp/assets/pdfs/ipam/ipam-case-registry/2019/2019-01-shuakhevi-hpp-request--2/2019-01-Management-Action-Plan-ENG-19-Oct-2022.pdf

ბიომრავალფეროვნება

ბიომრავალფეროვნების საბაზისო მაჩვენებელსა და მონიტორინგში აღმოჩენილი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, CAO -ს რეკომენდაციაა, IFC-მ მსოფლიო ბანკის ჯგუფის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად თავის კლიენტთან ითანამშრომლოს შემდეგ საკითხებზე:

- *თევზის საბაზისო მაჩვენებლის განახლება, თევზის სახეობების მრავალფეროვნების იდენტიფიკაციის მიზნით შუახევის სქემის კორექტირებულ საკვლევ ტერიტორიაზე, სეზონების მიხედვით და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენდემურ, გადაშენების პირას მყოფ და მოწყვლად სახეობებს, მათ შორის, თევზებს, მაგრამ არა მხოლოდ, რომლებიც დამოკიდებულნი არიან წყლის ეკოსისტემებზე.*
- *განახლებული საბაზისო მაჩვენებლის შედეგების საფუძველზე ცალკეული სახეობების ჰაბიტატის საჭიროებების განსაზღვრა და პროექტის ეკოლოგიური ნაკადების ხელახლა შეფასება. ეს უნდა მოიცავდეს ეკოლოგიური ნაკადის განახლებულ ანალიზს, მაღალი გარჩევადობის მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც აფასებს ეკოლოგიური ნაკადის სცენარების ფართო სპექტრს, იდენტიფიცირებულ თევზის სახეობებსა და მტკნარი წყლის ჰაბიტატზე დამოკიდებულ სხვა სახეობებზე ზემოქმედების გასარკვევად. ეს ხელახალი შეფასება უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს ღონისძიებების იდენტიფიკაციას ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ნარჩენი ზემოქმედების ადეკვატურად შესარბილებლად ან გასანეიტრალებლად და აჩვენებს წმინდა დანაკარგის არარსებობის მიღწევას.*
- *IFC-მ კლიენტთან ერთად უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო აღიარების მქონე ექსპერტების ჩართვის მიზნით, ეკოლოგიური ნაკადის ანალიზის შესაფასებლად, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის (BAP) გასაახლებლად, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს გატარებული შერბილების/ან კომპენსირების ღონისძიებების ადეკვატურობა ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად.*
- *დაბოლოს, ზემოქმედების ქვეშ მყოფ მდინარეებსა და წყალსაცავებში წყლის ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზემოქმედების ადეკვატურად შესაფასებლად, CAO-ს რეკომენდაციაა, რომ IFC-მ „აჭარისწყალ ჯორჯიას“ მოსთხოვოს თევზის პოპულაციებისა და მოწყვლადი სახეობების მონიტორინგის გახანგრძლივება პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. საერთაშორისო ექსპერტებმა ასევე უნდა განიხილონ მონიტორინგის პროგრამა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული პროგრამა ადეკვატურად ახდენდეს სახეობების მრავალფეროვნებისა და პოპულაციების ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების იდენტიფიკაციას და აღნიშვნას. ამან უნდა უზრუნველყოს შერბილების და/ან კომპენსაციის ზომების პერიოდული განახლება.*

60. IFC მიიჩნევს, რომ არსებული პროექტის საბაზისო მაჩვენებლების განახლება შეუძლებელია, რადგან განმარტებიდან გამომდინარე, საბაზისო მაჩვენებლების შეგროვება პროექტის დაწყებამდე წარმოებს. IFC ასევე მიიჩნევს, რომ ინვესტიციამდე თევზის ნიმუშების აღება საკმარისი იყო და მოიცავდა გავლენის საბოლოო არეალს. IFC აღიარებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში არსებულ ზოგიერთ მცირე ხარვეზს; თუმცა, არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ ნაკლებად სავარაუდოა პროექტთან დაკავშირებული იყოს არსებითი უარყოფითი ზიანი, რომელიც CAO პოლიტიკით განსაზღვრულ ზიანის ზღვარს შეესაბამება. ამ დასკვნის დამატებით გასამყარებლად, IFC აღნიშნავს, რომ EBRD-ის მიერ მიღებული საჩივრის განხილვისას, შესაბამისობის შემფასებელმა ექსპერტმა დაასკვნა, რომ „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ საბოლოოდ მიაღწია მნიშვნელოვან შესაბამისობას BAP -თან.

61. EBRD-ის MAP-ი EBRD-ის და კრედიტორების ტექნიკურ მრჩეველს (LTA)

ავალდებულებს O-BAP-ის ეფექტურობის მუდმივი მონიტორინგის განხორციელებას და ხაზს უსვამს, რომ O-BAP-ის მომავალი ცვლილება გამჟღავნდება „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ.[24] IFC ანალოგიურად ორიენტირებულია პროექტის ექსპლუატაციის ფაზაზე.

62. წინასაინვესტიციო საბაზისო მონაცემების გარდა, ექსპლუატაციის ფაზის 10 წელზე მეტი ხნის მონიტორინგის მონაცემები მიუთითებს, რომ თავისუფალი გადაადგილება შენარჩუნებულია და თევზის სიმრავლე და მრავალფეროვნება აღდგა მშენებლობის დროს დროებითი შემცირების შემდეგ, რაც ადასტურებს წმინდა დანაკარგის არარსებობის მიმართულებით არსებულ პროგრესს. სახეობების სიმრავლისა და სიმდიდრის აღდგენა ასევე აჩვენებს ოპერაციული ეკოლოგიური ნაკადის საკმარისობას. შესაბამისად, მაღალი გარჩევადობის ხელახალი შეფასება, რომელიც არ არის PS სტანდარტების მოთხოვნა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოგვცემს ღირებულ დასკვნებს, გამოასწორებს CAO-ს მიერ გამოვლენილ ნაკლოვანებებს ან გამოიწვევს განსხვავებულ შედეგს.

63. თუმცა, პროექტის ტერიტორიაზე პროექტის ზემოქმედებასთან დაკავშირებული ბუნებრივი ცვლილებების ან გარე, პროექტთან კავშირის არმქონე სტრესფაქტორების განსასაზღვრად, „აჭარისწყალი ჯორჯია“ ვალდებულია შეიმუშაოს სტატისტიკური ტენდენციების ანალიზი ექსპლუატაციის ფაზისთვის. ეს ანალიზი დამყარებული იქნება ძირითადი სახეობების მონიტორინგის მონაცემებზე, რომლებიც პრიორიტეტულია თემებისთვის და კონსერვაციის მიზნებისთვის (მათ შორის ყველა ენდემური, გადაშენების პირას მყოფი და მოწყვლადი სახეობისთვის).

64. ამასთან ერთად, „აჭარისწყალი ჯორჯია“ დათანხმდა საერთაშორისო ექსპერტების ან კონსულტანტების ჩართვას ეკოლოგიური ნაკადის შესაფერისობის მიმოხილვის შემუშავებაში. ეს ანალიზი გამოიყენებს ჰიდრომორფოლოგიურ და ბიოლოგიურ მონაცემებს, რომლებიც შეგროვებულია ექსპლუატაციის ფაზაში. კონსერვაციის თითოეული პრიორიტეტული სახეობისთვის განისაზღვრება ეკოლოგიური ნაკადის საკმარისობა და, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება შერბილების ღონისძიებები.

65. მონიტორინგის მიერ მითითების მიუხედავად, რომ ნაკადის გაშვება შეესაბამება ეკოლოგიური ნაკადის რეჟიმს და რომ ჰაბიტატების მრავალფეროვნება და უწყვეტობა შენარჩუნებულია, დაგეგმილი სტატისტიკური ტენდენციების ანალიზი და ეკოლოგიური ნაკადების შეფასების ანგარიში შეიძლება ადაპტირებული იყოს ნაკადის, თევზის და ჰიდრომორფოლოგიური მონაცემების ინტეგრირებული ანალიზისთვის. ოპერირების ფაზის მონიტორინგი ხელს შეუწყობს მიმდინარე ადაპტაციურ მართვას. პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის მონიტორინგი PS6

[24] მენეჯმენტის სამოქმედო სტანდარტი 8. EBRD MAP. https://www.ebrd.com/content/dam/ebrd_dxp/assets/pdfs/ipam/ipam-case- registry/2019/2019-01-shuakhevi-hpp-request--2/2019-01-Management-Action-Plan-ENG-19-Oct-2022.pdf

სტანდარტის მოთხოვნაა და განხილული იქნება IFC-ის გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის ღონისძიებების ფარგლებში.

V. კონსულტაციები მომჩივანებთან და კომპანიასთან

66. CAO პოლიტიკა ითვალისწინებს IFC-ს კონსულტაციებს მომჩივანებთან და კომპანიასთან MAP-ის მომზადებისას. ეს თავი აღწერს IFC-ის ძალისხმევას მომჩივანებთან კონსულტაციებისთვის; „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ მიმდინარე კომუნიკაციას და კომპანიის ძირითად მოსაზრებებს; და ჩართულობას CAO-სთან მენეჯმენტის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

კონსულტაციები მომჩივან პირებთან

67. IFC-ის პროექტის გუნდი ადრეც ურთიერთობდა თემის წარმომადგენლებთან გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის ფარგლებში და იცნობს სოფელ მახალაკიძეების მცხოვრებლების წუხილებს, განსაკუთრებით მეწყრულ პროცესებთან დაკავშირებული რისკის შესახებ. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის (MAP) მომზადებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ IFC მოწადინებული იყო კონსულტაციები გაეწია მომჩივანებისთვის, ამ უკანასკნელთ CAO-ს აცნობეს, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ CAO-სგან უფლებამოსილების IFC-სთვის გადაცემას და არ იყვნენ დაინტერესებულნი IFC-სთან წყალმომარაგებასთან ან თევზის სახეობებთან დაკავშირებული საკითხების განხილვით. ისინი მხოლოდ მეწყრული პროცესების რისკის საკითხის განხილვის სურვილს გამოხატავდნენ. თუმცა, ეს თემა არ შედის CAO-ს მოკვლევის ან ანგარიშის ფარგლებში და შესაბამისად, არ შედის MAP-ში.

68. IFC-მ სცადა დაკავშირება მთავარ მომჩივანთან, რომ გამოეხატა მზადყოფნა წყალთან და ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებით მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შემუშავებაში მისი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით. IFC ასევე მუშაობდა ჩართულობის ალტერნატიული პლატფორმების მომზადებაზე, თუ მომჩივანები მოისურვებდნენ IFC-სთან საუბარს MAP-ის მომზადების გვიან ეტაპზეც კი. IFC-მ არ მიიღო არანაირი პასუხი მომჩივანებისგან და პატივს სცემს მათ სურვილს, არ ჩაერთონ ამ თემების განხილვაში. IFC მზადაა მომავალშიც ითანამშრომლოს მათთან პროექტის რეგულარული ზედამხედველობის ფარგლებში, თუ ისინი ამას გადაწყვეტენ.

კონსულტაცია “აჭარისწყალი ჯორჯიასთან”

69. IFC თანმიმდევრულად თანამშრომლობდა „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ MAP-ში შეტანილი თითოეული ღონისძიების განსახილველად და შესათანხმებლად. „აჭარისწყალი ჯორჯია“ ამტკიცებს, რომ პროექტს წყალმომარაგებაზე გავლენა არ მოუხდენია და შესაბამისად, წყლის

ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა. „აჭარისწყალი ჯორჯია“ ასევე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი წყალმომარაგების პროექტს ახორციელებს. მიუხედავად ამისა, „აჭარისწყალი ჯორჯია“ მზად არის მუნიციპალიტეტის ძალისხმევის მხარდასაჭერად. „აჭარისწყალი ჯორჯია“ ასევე ვალდებულია განახორციელოს სტატისტიკური ტენდენციის ანალიზი და ეკოლოგიური ნაკადის შესაფერისობის მიმოხილვა, ხუთწლიანი მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებების საჭიროების შესაფასებლად.

<u>ჩართულობა CAO-სთან</u>

70. ამ ანგარიშის წარდგენამდე, IFC-მ და MIGA-მ CAO-სთან განიხილეს სავარაუდო პასუხები CAO-ს რეკომენდაციებთან დაკავშირებით. IFC-მ უპასუხა დეტალურ ტექნიკურ კითხვებს მენეჯმენტის შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმასთან (MAP) მიმართებით და შეიტანა შემოთავაზებული ცვლილებები ამ ანგარიშსა და MAP-ში. IFC მიესალმება კონსტრუქციული ჩართულობის შესაძლებლობას და აფასებს CAO-ს ფოკუსირებას დადებით შედეგებზე.

VI. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP)

71. A დანართში წარმოდგენილი MAP-ი ასახავს ზემოთ მოცემულ თავში აღწერილ ქმედებებსა და შეზღუდვებს. მასში გაწერილია „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ შეთანხმებული ღონისძიებები. ქვემოთ წარმოდგენილი დეტალების დონე შეესაბამება CAO-ს პოლიტიკით დადგენილ ვადებს IFC-სთვის CAO-ს მოკვლევაზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.

VII. დასკვნა

72. IFC და MIGA აფასებენ CAO-ს კონსტრუქციულ ჩართულობას საჩივრების დამუშავების მთელი პროცესის განმავლობაში და მიესალმებიან CAO-ს შეფასებასა და რეკომენდაციებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არსებობს სწავლისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა, მათ შორის, „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ამ პროექტში, IFC არ თვლის, რომ ზიანის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია CAO-ს პოლიტიკით, ამ შემთხვევაში დაკმაყოფილებულია. IFC მიიჩნევს, რომ პროექტიდან პირდაპირ ან ირიბად არ მომხდარა რაიმე უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება ადამიანებზე ან გარემოზე (იქნება ეს რეალური თუ გონივრულად სავარაუდო მომავალში). თუმცა, IFC ამ თემებზე თანამშრომლობს „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“

და ეს უკანასკნელი დათანხმდა ღონისძიებების განხორციელებას CAO-ს რეკომენდაციების სულისკვეთების შესაბამისად, საერთო ფოკუსირებით წყალმომარაგების შედეგებზე და წმინდა დანაკარგის არარსებობის მიღწევაზე.

73. როგორც კრედიტორთა ტექნიკური მრჩევლის (LTA) დამოუკიდებელი კვლევით დადასტურდა, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც პროექტს მოსახლეობის წყალმომარაგებაზე უარყოფით ზემოქმედებასთან დააკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ IFC აღიარებს ზედამხედველობაში არსებულ ხარვეზებს, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ განახორციელა მაკორექტირებელი ზომები, მათ შორის გვირაბის დუღაბირება, მოპირკეთება და მთლიანობის მონიტორინგი. „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ბოლო დროს წყალთან დაკავშირებული არანაირი საჩივარი არ მიუღია და IFC-მ ადგილზე ვიზიტების გზით დაადასტურა უხვი წყლის ხელმისაწვდომობა (წყალზე წვდომა).

74. რადგან პროექტი გავლენას არ ახდენს წყლის რესურსებზე, IFC და „აჭარისწყალი ჯორჯია“ მიიჩნევენ, რომ წყლით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა და აღიარებენ, რომ მუნიციპალიტეტმა უკვე შეუკვეთა მუდმივი წყალმომარაგების სისტემის შემუშავება. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და თანმიმდევრულ ხელმისაწვდომობას, სეზონური რყევებისგან დამოუკიდებლად. „აჭარისწყალი ჯორჯია“ ღიაა მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობისთვის და ამ მიზნით საჭირო ნებისმიერი ქმედების განსახორციელებლად.

75. IFC მიიჩნევს, რომ წინასაინვესტიციო პერიოდში ბიომრავალფეროვნების შესასწავლად თევზის ნიმუშების აღება საკმარისი იყო, თევზებისა და კონსერვაციის სახეობების პოპულაციების საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავდა პროექტის გავლენის მთელ არეალს. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ფაზაში დროებითი ზემოქმედება აშკარა იყო, განხორციელდა სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიება, რომელთა ეფექტურობა დადასტურდა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პოპულაციები აღდგა ექსპლუატაციის ფაზაში და მონიტორინგის მონაცემები აჩვენებს სიმრავლისა და სიმდიდრის ზრდის ტენდენციას, რაც ადასტურებს წმინდა დანაკარგის არარსებობისა და საკმარისი ეკოლოგიური ნაკადის დონისკენ მიმავალ პროგრესს. „აჭარისწყალი ჯორჯია“ დათანხმდა სტატისტიკური ტენდენციების ანალიზისა და ეკოლოგიური ნაკადის შესაფერისობის მიმოხილვის შემუშავებას, იმისათვის რომ შემდეგ განისაზღვროს დამატებითი შერბილების ღონისძიებების საჭიროება, რაც მოგვიანებით შეიძლება შევიდეს O-BAP-ში.

76. IFC აღიარებს, რომ მეწყერთან დაკავშირებული საკითხები კვლავ რჩება მომჩივანების მთავარ წუხილად, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის პროექტის ზემოქმედების შედეგი და მიესალმება ეროვნულ ეკომიგრანტულ პროგრამას ამ

საკითხის მოსაგვარებლად. IFC პატივს სცემს მომჩივანების არჩევანს, არ განიხილონ წყლის ან თევზის საკითხები IFC-თან MAP-ის მომზადების ფარგლებში. IFC გააგრძელებს გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის საქმიანობას და დარჩება ღია ადგილობრივ თემებთან შემდგომი ჩართულობისთვის მიმდინარე ზედამხედველობის ფარგლებში, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ.

დანართი A. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა

CAO -ს პროექტის დონის რეკომენდაცია	ღონისძიება	მოსამზადებელი დოკუმენტი	ვადა
მიწისქვეშა წყლები			
პროექტის ESIA-სა და ESMP-ში ასახული შერბილების ღონისძიებების შესაბამისად, რომელიც ალტერნატიული წყალმომარაგების უზრუნველყოფას ეხება, IFC-მ უნდა ითანამშრომლოს კლიენტთან, მუნიციპალიტეტის ძალისხმევის მხარდასაჭერად სოფელ მახალაკიძეებში და რაბათის უბანში საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით მოსახლეობის საარსებო და საყოფაცხოვრებო მოხმარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს დამატებითი ძალისხმევა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში. სისტემის გაუმჯობესების პროცესის პარალელურად, CAO-ს რეკომენდაციაა, რომ IFC-მ ითანამშრომლოს თავის კლიენტთან, მომჩივანებისთვის მიწოდებული მიმდინარე ალტერნატიული წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოს მისი ხარისხი და საკმარისი რაოდენობა საყოფაცხოვრებო მოხმარების საჭიროებების შესაბამისად. ეს აქტივობა კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც IFC-ის ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული PS1 სტანდარტის შესაბამისი პროექტის ზემოქმედების შერბილების ან კომპენსაციის ღონისძიება. ამ მიზნით, CAO -ს რეკომენდაციაა, რომ IFC-მ, ზედამხედველობის ძალისხმევის ფარგლებში, შეისწავლოს კლიენტის წყლით უზრუნველყოფის საქმიანობა, რომ გაარკვიოს აკმაყოფილებს თუ არა ის წყლის ხარისხის სტანდარტებს და საკმარისია თუ არა საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თუ პროექტის არეალის რეალობა ართულებს მომჩივანებისთვის საკმარისი და სუფთა წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, IFC-მ უნდა ითანამშრომლოს თავის კლიენტთან სხვა ალტერნატივების შესასწავლად, როგორიცაა განსახლების მხარდაჭერის უზრუნველყოფა. .	ნებაყოფლობით, "აჭარისწყალი ჯორჯია" გააგრძელებს შუახევის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი გადაწყვეტის ხელშეწყობას, კერძოდ ესენია :		
	• მუნიციპალიტეტთან კონსულტაციები იმის გასარკვევად, საჭიროა თუ არა „აჭარისწყალი ჯორჯიას" მხარდაჭერა რაბათში მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის განსახორციელებლად.	სხდომის ოქმები, რომლებიც ასახავს დასკვნას მხარდაჭერის საჭიროების და შეთავაზებული ღონისძიებების შესახებ	31 ივლისი , 2025
	• მუნიციპალიტეტისგან ოფიციალურად მოთხოვნა, რომ რაბათის უბანი პრიორიტეტად იქნეს ჩართული „მახალაკიძეების" გრძელვადიანი წყალმომარაგების სისტემაში. .	"აჭარისწყალი ჯორჯიასგან" მუნიციპალიტეტისთვის გაგზავნილი მოთხოვნის შემცველი წერილი.	30 ივნისი , 2025
	• მუნიციპალიტეტისგან ოფიციალურად მოთხოვნა, რომ განხორციელდეს წყალმომარაგების არსებული სისტემის მოვლა-პატრონობა, როგორც მოკლევადიანი გაუმჯობესების ღონისძიება. .	"აჭარისწყალი ჯორჯიასგან" მუნიციპალიტეტისთვის გაგზავნილი მოთხოვნის შემცველი წერილი.	30 ივნისი , 2025
ბიომრავალფეროვნება			
ბიომრავალფეროვნების საბაზისო მაჩვენებელსა და მონიტორინგში აღმოჩენილი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, CAO -ს რეკომენდაციაა, IFC-მ მსოფლიო ბანკის ჯგუფის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად თავის კლიენტთან ითანამშრომლოს შემდეგ საკითხებზე:	„აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ საერთაშორისო ექსპერტებთან ან კონსულტანტებთან ერთად სტატისტიკური ტენდენციების ანალიზის შემუშავება და ეკოლოგიური ნაკადის შესაფერისობის ანალიზის განხორციელება, იმისათვის რომ	ოპერაციული ფაზის სტატისტიკური ტენდენციის ანალიზი. ეკოლოგიური ნაკადის შესაფერისობის ანგარიში	სტატისტი კური ტენდენცი ის ანალიზი, 28 თებ., 2026

• *თევზის საბაზისო მაჩვენებლის განახლება, თევზის სახეობების მრავალფეროვნების იდენტიფიკაციის მიზნით შუახევის სქემის კორექტირებულ საკვლევ ტერიტორიაზე, სეზონების მიხედვით და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენდემურ, გადაშენების პირას მყოფ და მოწყვლად სახეობებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან წყლის ეკოსისტემებზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, თევზებს.* • *განახლებული საბაზისო მაჩვენებლის შედეგების საფუძველზე ცალკეული სახეობების ჰაბიტატის საჭიროებების განსაზღვრა და პროექტის ეკოლოგიური ნაკადების ხელახლა შეფასება. ეს უნდა მოიცავდეს ეკოლოგიური ნაკადის განახლებულ ანალიზს, მაღალი გარჩევადობის მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც აფასებს ეკოლოგიური ნაკადის სცენარების ფართო სპექტრს, იდენტიფიცირებულ თევზის სახეობებსა და მტკნარი წყლის ჰაბიტატზე დამოკიდებულ სხვა სახეობებზე ზემოქმედების გასარკვევად. ეს ხელახალი შეფასება უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს ღონისძიებების იდენტიფიკაციას ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ნარჩენი ზემოქმედების ადეკვატურად შესარბილებლად ან გასანეიტრალებლად და აჩვენებს წმინდა დანაკარგის არარსებობის მიღწევას.* • *IFC-მ კლიენტთან ერთად უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო აღიარების მქონე ექსპერტების ჩართვის მიზნით, ეკოლოგიური ნაკადის ანალიზის შესაფასებლად, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის (BAP) გასაახლებლად, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს გატარებული შერბილების/ან კომპენსირების ღონისძიებების ადეკვატურობა ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად.* *დაბოლოს, ზემოქმედების ქვეშ მყოფ მდინარეებსა და წყალსაცავებში წყლის ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზემოქმედების ადეკვატურად შესაფასებლად, CAO-ს რეკომენდაციაა, რომ IFC-მ მოსთხოვოს „აჭარისწყალ ჯორჯიას“ თევზის პოპულაციებისა და მოწყვლადი სახეობების მონიტორინგის გახანგრძლივება პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. საერთაშორისო ექსპერტებმა ასევე უნდა განიხილონ მონიტორინგის პროგრამა, იმის უზრუნველსაყოფად რომ აღნიშნული პროგრამა ადეკვატურად ახდენდეს სახეობების მრავალფეროვნებისა და პოპულაციების ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების იდენტიფიკაციას და აღნიშვნას. ამან უნდა უზრუნველყოს შერბილების და/ან კომპენსაციის ზომების პერიოდული განახლება.*	შეძლებისდაგვარად მიღწეულ იქნეს ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგის თავიდან აცილება. შედეგებზე დაყრდნობით შერბილების ღონისძიებების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში O-BAP-ის განახლება. .	O- BAP -ის განახლებული თავები შერბილების ღონისძიებების გათვალისწინებით საჭიროების შემთხვევაში	ეკოლოგიური ნაკადის შესაფერის ობის ანალიზის ანგარიში 30 ივნისი, 2026

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

IFC/MIGA-ს მენეჯმენტის პასუხი წარმოდგენილია შესაბამისობის მრჩევლის ომბუდსმენის (CAO) ოფისის მოკვლევის ანგარიშის საპასუხოდ, რომელიც ეხება საჩივრებს IFC-სა და MIGA-ს მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის შესაბამისი სტანდარტების სავარაუდო შეუსრულებლობის შესახებ, IFC-ის დაფინანსებით ან ინვესტიციით და MIGA-ს გარანტიით მხარდაჭერილ პროექტში.

CAO ადმინისტრირებას უწევს IFC-სა და MIGA-ს ანგარიშვალდებულების მექანიზმს, იმისათვის რომ განიხილოს IFC-სა და MIGA-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტებით დაზარალებული პირების საჩივრები. როგორც IFC/MIGA-ს დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმის (CAO) პოლიტიკის მე-9 პუნქტშია აღნიშნული, CAO-ს არ აქვს უფლებამოსილება სასამართლო პროცესების წარმართვასთან დაკავშირებით. CAO არ არის სასამართლო ან სამართალდამცავი მექანიზმი და არ ცვლის სასამართლოს ან მარეგულირებელ პროცესებს და CAO-ს ანალიზი, დასკვნები და ანგარიშები არ არის განკუთვნილი ან შექმნილი სასამართლო ან მარეგულირებელ პროცესებში გამოსაყენებლად ან სამართლებრივი შეცდომის ან პასუხისმგებლობის მიკუთვნების მიზნით.

CAO-ს მოკვლევის ანგარიშში ან IFC/MIGA-ს მენეჯმენტის პასუხში მოცემული არცერთი დებულება (1) არ ქმნის რაიმე სამართლებრივ ვალდებულებას, (2) არ ამტკიცებს ან უარს არ ამბობს რაიმე სამართლებრივ პოზიციაზე, (3) არ განსაზღვრავს რაიმე სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვალდებულებას ან უკანონო ქმედებას, (4) არ წარმოადგენს ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოების ან ნებისმიერი შეცდომის ან უკანონო ქმედების მტკიცებულების აღიარებას ან მიღებას, ან (5) არ წარმოადგენს IFC-ის ან MIGA-ს ნებისმიერ უფლებაზე, პრივილეგიაზე ან იმუნიტეტის რაიმე სახეობაზე უარის თქმას IFC-ის წესდებით, MIGA-ს კონვენციით, საერთაშორისო კონვენციებით ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების საფუძველზე. IFC და MIGA მკაფიოდ იტოვებენ ყველა უფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის სიზუსტის დასადგენად გონივრული ძალისხმევა იქნა გაწეული, არ აქვს ადგილი ასეთი ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის შესახებ რაიმე გარანტიის გაცემას. მენეჯმენტის პასუხის მომზადებისას, IFC და MIGA არ აპირებენ შექმნან, მიიღონ ან საკუთარ თავზე აიღონ რაიმე სამართლებრივი ვალდებულება ან მოვალეობა, ან გამოავლინონ ან მიიღონ რაიმე ბრალდება რაიმე სამართლებრივი ვალდებულების ან მოვალეობის დარღვევის შესახებ. CAO-ს მოკვლევის ანგარიშის ან IFC/MIGA-ს მენეჯმენტის პასუხის არცერთი ნაწილის გამოყენება ან მითითება არ შეიძლება სასამართლო, არბიტრაჟულ, მარეგულირებელ ან სხვა პროცესში IFC-ის და MIGA-ს წერილობითი თანხმობის გარეშე.